

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №15(53) 2013 წ. 1-15 აგვისტო ფასი 50 თეთრი


## საგარეჯოელი ძიუდოისტების ოქრო და ვერცხლი კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატიდან



1-8 აგვისტოს ამერიკის ფლორიდის შტატის ქ. მაიამიში ტარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში ჭაბუკებს შორის, რომელსაც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ჭიდაობის საგარეჯოელი გულშემატკივრები. წმინდა სპორტული აზარტის გარდა მათ ამ ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ ამ ასპარეზობაში სამი საგარეჯოელი ძიუდოისტი 2012 წლის ევროპის ჩემპიონი 60 კგ-ში, 2013 წლის ევროპის თასის III პრიზიორი და კიევის ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი კობა მჭედლიშვილი, ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი, ევროპის ოლიმპიური თამაშების III პრიზიორი, ანტალიის ევროპის თასის გათამაშების 2010 წლის ჩემპიონი, ამავე წლის კიევის ევროპის თასის გათამაშებისა და შვიდგზის საქართველოს ჩემპიონი, მიმდინარე წლის კიევის ევროპის თასის, ევროპის ოლიმპიური თამაშების II პრიზიორი თამაზ კირაკოზაშვილი და სიმონ მამარდაშვილი იღებდნენ მონაწილეობას.

პირველი ორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაამართლეს მწვრთნელების და გულშემატკივრების იმედები, ასახელეს თავიანთი თავი, საგარეჯო და მთელი საქართველო. მათ გამართული 6-6 შეხვედრიდან ერთხელაც არ ჩაუხრიათ მუხლი მეტოქეთა წინაშე. ჩემპიონატში კობა მჭედლიშვილი 66 კგ წონით კატეგორიაში სცდიდა ძალებს. პირველი შეხვედრა მას გამბიელ ძიუდოისტთან ჰქონდა, რომელიც სუფთა გდებით დაამარცხა. ასეთივე შედეგებით დაასრულა მან მომდევნო II, III და IV შეხვედრები ეკვადორის, მექსიკის და ბელორუსის წარმომადგენლებთან. V შეხვედრაში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საფინალო ორთაბრძოლის ბედი, იუკოთი სძლია ყაზახ მოწინააღმდეგეს. საფინალო ორთაბრძოლაში კაკაბეთელ ძიუდოისტს ბედმა ამომავალი მზის ქვეყნის ფალავანი ჰიფუბი-აბე შეახვედრა. იაპონელი ძიუდოისტების დიდების მიუხედავად კობამ ჰიფუბი აბეც პირველივე წუთის მიწურულს გააკრა ბეჭებზე, თუმცა მსაჯებმა მას ეს შედეგი არ ჩაუთვალეს. მსაჯთა ამ აშკარა არაობიექტურობის მიუხედავად ჩვენებური ფალავანი არ გატეხილა და ვაზარით გამოგლიჯა იაპონელს ხელიდან მსოფლიო ჩემპიონის ნანატრი ოქროს მედალი.

შესანიშნავად იასპარეზა ჩემპიონატზე 16 წლის თამაზ კირაკოზაშვილმაც. პირველ შეხვედრაში მან დაჯაბნა უკრაინის სახელით მოასპარეზე ქართველი მესაბლიშვილი, II შეხვედრაში სუფთა გდებით მოუგო ვენესუელის წარმომადგენელს. მესამე შეხვედრაში თამაზმა დაამარცხა ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ფინელი მეტოქე, მეოთხეში კი ჰოლანდიის წარმომადგენელი. V შეხვედრაში „კირაკოზას" მეტოქე ორგზის ევროპის ჩემპიონი რუსლან გოდიზოვი აღმოჩნდა, რომელსაც დიდჩაილურელმა ფალავანმა აღარ დააცალა ჩემპიონობისათვის ბრძოლა. საფინალო ორთაბრძოლაში თამაზი რუსეთის წარმომადგენელ ზაურ რამაზანოვს შეხვდა, რომელსაც 100%-იანი ოქროს ქულა გაუკეთა, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც არ ჩაუთვალეს ეს წარმატება და საგარეჯოელებმა ორი ოქროს ნაცვლად თითო ოქრო და ვერცხლი ჩამოიტანეს.

სამწუხაროდ, არ გაუმართლა 66 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე სიმონ მამარდაშვილს, რომელმაც I შეხვედრა ამერიკელ მოჭიდავესთან გამარჯვებით დაასრულა. მწვრთნელების შეფასებით მსაჯებმა II შეხვედრიდან არაობიექტური გადაწყვეტილებით მოხსნეს და ბულგარელ ივან სტეფანოვთან წაგება ჩაუთვალეს, არადა მამარდაშვილზე დიდ იმედებს ამყარებდნენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები და არა მარტო ისინი.

დიდ გამარჯვებას ვულოცავთ კობას და თამაზის, მათ მწვრთნელს მამუკა მათიაშვილს, რომელსაც მართლაც რომ ეკუთვნოდა თავისი აღსაზრდელების გვერდით ყოფნა და სწორედ მისი იქ, იმ დარბაზში ყოფნა ერთი ოქროს ნაცვლად, საგარეჯოს სამ ოქროს მედალს მოუტანდა... სიმონ მამარდაშვილს კი მომავლის წინააღმდეგობების ვაჟკაცურად დაძლევას ვუსურვებთ...

*გივი დაბახიშვილი*

## სტიქიისაგან მიყენებულ ზარალს ითვლიან

სეტყვამ კიდევ ერთხელ სერიოზული ზარალი მიაყენა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ზარალის შესახებ გვესაუბრება ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი*** **ცისმარ თედიაშვილი.**

9 აგვისტოს მოსულმა სეტყვამ საგრძნობლად დააზიანა ქ. საგარეჯოს მოსახლეობის ერთი ნაწილის ვენახები. ე.წ. „კოსტაფეს" ტერიტორიაზე 80-70-30%-ის ფარგლებში. რაც შეეხება თავად მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებს აქ სეტყვა ისეთი სიძლიერით და ინტენსივობით არ ყოფილა, რომ ზარალი ყოფილიყო.

დაზარალდა ტერიტორიული ორგანო უდაბნოს მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები. სეტყვისა და ჭარბი ნალექების გამო მომძლავრებულმა წყლის ნაკადმა დააზიანა საავტომობილო გზაზე არსებული ხიდი, რომლის აღდგენითი სამუშაოები მეორე დღესვე დაიწყო და ავტომობილების მოძრაობისათვის შეფერხება არ გამოუწვევია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შედგა ზარალის დამთვლელი ორი კომისია, ერთი ქ. საგარეჯოში, მეორე – უდაბნოში. ქ. საგარეჯოს კომისიაში შევიდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ქურდოვანიძე, აკაკი დეკანოზიშვილი, დათო ჩოკოშვილი, გიორგი ფირყულაშვილი, ზურაბ ზირაქაშვილი, გია ბუჩაშვილი. უდაბნოს ზარალის დამთვლელ კომისიაში გაერთიანდნენ: გიორგი ქურდოვანიძე, მამია ჩართოლანი, აკაკი დეკანოზიშვილი, მაიზერ გუჯეჯიანი, დავით ჩოკოშვილი, ერეკლე გვიდანი და გია ბუჩაშვილი.



აღნიშნული კომისიები სეტყვისაგან დაზიანებულ მთლიან ფართობებს დაითვლიან და შედეგებს ზემდგომ ორგანოებში გადავაგზავნით.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 ივლისის სხდომა მიჰყავდა ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს*** **ილია ჭიაურელს**. სხდომის დღის წესრიგის I საკითხად დეპუტატებმა მოისმინეს აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების" 2013 წლის 6 თვის ანგარიში, რომელიც ამავე გაერთიანების დირექტორმა ელზა გილაშვილმა წარმოადგინა. მოსმენილი საკითხის ირგვლივ აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა. მათი საუბარი ძირითადად შეეხო გაერთიანების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა კვების საკითხებს. გამოითქვა მოსაზრებები კვების გაუმჯობესების შესახებ.

სხდომის მონაწილეებმა, ასევე მოისმინეს აიპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის" დირექტორის ლია ბურჯანაძის მოხსენება 2013 წლის 6 თვის ანგარიშის შესახებ.

2013 წლის 6 თვის ანგარიშით წარსდგა სხდომაზე აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის" დირექტორის მოადგილე ხათუნა ჯანიაშვილი.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2013 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 2 თებერვლის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ". საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური დახმარების 2013 წლის პროგრამას დაემატა 81000 ლარი. აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ კი თანხა გადანაწილდა შემდეგნაირად და და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი ბიუჯეტი დამტკიცდა შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3. პროგრამის ბიუჯეტი დამტკიცდეს შემდეგი რედაქციით: პროგრამის ბიუჯეტი ნაცვლად 350800 (სამასორმოცდაათი ათას რვაასი) ლარისა, განისაზღვროს 402620 (ოთხასორი ათას ექვსასოცი) ლარით.

მუხლი 5. სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფები.

მე-5 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი: 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისათვის დაბადების დღის საჩუქარი განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით სულ 6 ადამიანისათვის.

მუხლი 6. სოციალური დახმარების ოდენობა

მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი დამტკიცდეს შემდეგი რედაქციით:

უფასო კვების ობიექტები ნაცვლად 181000 (ასოთხმოცდაერთი ათასი) ლარის განისაზღვროს 152820 (ასორმოცდათორმეტი ათას რვაასოცი)ლარით.

სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს მოსმენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება და დადგენილება.

№15(53) 2013 წელი, 1-15 აგვისტო

# „კანარგო-ჯორჯიასა“ და ნავთობსაძიებო სამსახურების მუშაკების შეხვედრა საგარეჯოელებთან

როგორც საგარეჯოელებისათვის ცნობილია, უკვე თითქმის 5 თვეა გერმანული გეოფიზიკური სადაზვერვო პარტია DMT შპს „კანარგო-ჯორჯიას“ შეკვეთით და წინასწარ შედგენილი რუკის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში აწარმოებს ნავთობის საბადოების საძიებო სამუშაოებს ორგანზომილებიანი ბურღვა-აფეთქების მეთოდით. აღსანიშნავია, რომ ეს სამუშაოები ისე დაიწყო და თითქმის მისი სამუშაოებიც შესრულდა, რომ მათ შესახებ არანაირი ინფორმაცია მოსახლეობისთვის არავის მიუწვდია. მოსახლეობამ მხოლოდ მოარული ჭორების დონეზე იცოდა, რომ მიმდინარეობს გაზისა და ნავთობის საძიებო სამუშაოები აფეთქების მეშვეობით, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ხალხისათვის საზიანო შედეგები. ამიტომ სრულიად გასაგებია საგარეჯოს მოსახლეობის ის პროტესტი და წინააღმდეგობა, რაც მათ გაუწიეს DMT-ს წარმომადგენლებს, როცა ისინი საგარეჯოს სათავესა და პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აღნიშნული სახის სამუშაოების ჩატარებას აპირებდნენ. დანამდვილებით ვერავინ იტყვის, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ამ სამუშაოებს, მაგრამ ამ პროტესტით ნამდვილად თავიდან იქნა აცილებული სათავის წყლის დაკარგვის საშიშროება.

ყველასათვის ცნობილია გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში სათავეში სასმელი წყლის დაკარგვის ამბავი, რაც აქ წყლის საძიებლად ჩატარებულ ზედაპირულ სათხრელ სამუშაოებს მოჰყვა. აქ კი ადგილი აქვს დედამიწის 10 მეტრის სიღრმეზე ჩატარებულ აფეთქების სამუშაოებს, რის ბუნებასა და მიწის ქანებზე უარყოფითი ზემოქმედების შესახებ მოსახლეობას არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია და იყვნენ გაურკვევლობასა და შეშფოთებაში, მათ ხომ საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ნავთობის აფეთქებით გამოწვეული უბედურება. პასუხი ამ გაურკვევლობასა და შეშფოთებას 9 აგვისტოს საგარეჯოს კულტურის სახლში არასამთავრობო ორგანიზაცია „საგარეჯოს სამოქალაქო ზედამხედველობის ინსტიტუტის“ თაოსნობით გამართულ შეხვედრაზე გაეცა, სადაც ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შეხვდნენ საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კორპორაციის, მენავთობეთა ასოციაციის, „კანარგო-ჯორჯიას“ და გეოფიზიკური პარტია DMT-ს წარმომადგენლები, კერძოდ საგარეჯოელებთან შესახვედრად იყვნენ ნავთობისა და გაზის კორპორაციის ხელმძღვანელი გოგი ბერაია, მენავთობეთა ასოციაციის პრეზიდენტი კლიფ აიზაკი, „კანარგო-ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე ჭიჭინაძე, მენეჯერი ჯეფრი ვილკინსი, გეოლოგიური სამსახურის უფროსი ვოლფგანგ ნახტმანი, უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის სამსახურის უფროსი თამაზ მუხურაძე, ნავთობის მოპოვების ინჟინერი ნუკრი ჭელიძე, კოპერაციების მენეჯერი გოჩა შავგულიძე, DMT-ს გეოფიზიკური პარტიის უფროსი ანდრეას სტეკრული, ამ პარტიის ნებართვების უფროსი გიზო კუკავაძე, ნავთობისა და გაზის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი ზაზა მიქელაძე და „კანარგო-ჯორჯიას“ წარმომადგენელი მიხეილ ნიბლაძე.

შეხვედრა გახსნა საგარეჯოს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ზედამხედველობის ინსტიტუტის“ დამფუძნებელმა ვახტანგ გზირიშვილმა. შეხვედრის მიზნებსა და ამოცანებზე მოკლედ ისაუბრა ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა გოგი ბერიძემ. როგორც მან აღნიშნა, საჭიროა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც გაარკვევს მოსახლეობას და ჩააყენებს ყველა იმ საქმის კურსში, რასაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აწარმოებენ DMT–ს საძიებო სამსახური, „კანარგო-ჯორჯია“ და მისი პარტნიორი საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კორპორაცია. ასევე გააცნობენ იმ რისკებსა და საფრთხეებს, რაც ასეთ სამუშაოებს სდევს თან, განსაკუთრებით კი საგარეჯოს სათავის შესახებ.

შეხვედრაზე ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კორეპორაციის უფროსმა ზაზა მიქელაძემ აღნიშნა, რომ „კანარგო-ჯორჯია“, რომლის პარტნიორია მათი კორპორაცია საქართველოში ახორციერლებს 100 მილიონიან ინვესტიციას, საიდანაც 50 მილიონი საგარეჯოს მუნიციპალიტეტზე მოდის. ეს კომპანია საქართველოში 1995 წლიდან მუშაობს და ფლობს ქვეყანაში ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ძიების ლიცენზიას. საძიებო 423 კმ საძიებო ზოლიდან 131 კმ საგარეჯოზე მოდის. ამ პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში გაიზრდება ნავთობის მოპოვება და შესაბამისად „კანარგო-ჯორჯიას“ სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, რაიმე ზიანის შემთხვევაში კი მოსახლეობას აუნაზღაურდება ზარალი.

„კანარგო-ჯორჯიას“ წარმომადგენელმა მიხეილ ნიბლაძემ თავისი გამოსვლა შეხვედრაზე იმით დაიწყო, რომ ბოდიში მოუხადა საგარეჯოელებს, რომ ასეთი მასშტაბური სამუშაოების დაწყების წინ არაფერი არ აცნობეს მათ და შეპირდა, რომ ამიერიდან ყოველთვის მიაწვდიან ინფორმაციას აღნიშნული სამუშაოების შესახებ. შემდგომ მან ისაუბრა საძიებო გეოფიზიკური სამუშაოების, გეგმების, სპეციფიკის, ადგილმდებარეობის განსაზღვრის, მათი ჩატარების მეთოდების, რისკებისა და საფრთხეების, გარანტიებისა და სხვათა შესახებ. როგორც მან აღნიშნა, საძიებო სამუშაოები ტარდება ნინოწმინდის, საგარეჯოსა და პატარძეულის მიდამოებში. 10 მეტრის სიღრმეზე ბურღვა-აფეთქების მეთოდით, რომელიც უსაფრთხოა მოსახლეობისათვის. მაგრამ მოსახლეობამ არ შეუშვა საგარეჯოს სათავის ტერიტორიაზე ამ სამუშაოების ჩასატარებლად, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი 40 მეტრის ნაცვლად ბურღვის განხორციელება სათავიდან 200 მეტრის დისტანციაზე გადაიტანეს. „კანარგო-ჯორჯია“ და DMT მუშაობენ უსაფრთხოების უმაღლესი ზომების დაცვით, რასაც აკონტროლებს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კორპორაცია. თავის გამოსვლაში იგი ასევე შეეხო იმ სიახლეებს და სიკეთეს, რასაც პროექტის წარმატებული განხორციელება მოუტანს საგარეჯოელებს. მისი განცხადებით სადღეისოდ საძიებო სამუშაოებზე დასაქმებული 300 კაციდან 120 საგარეჯოდან, პატარძეულიდან და ნინოწმინდიდანაა. მიმდინარეობს გზების შეკეთება ტყიან და მთიან ადგილებში, შექმნილია საველე სამუშაო ადგილები, მომავლისათვის მომზადდება და გადამზადდება მენავთობეთა კადრები, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო, ჯანდაცვის პირობების გაუმჯობესების, წყალგაყვანილობის მოწესრიგების და სხვა კუთხით. სეისმური ძიებისას მოსახლეობას აუნაზღაურდება ყოველგვარი მიყენებული ზარალი, მოხდება ჰაერის სინჯების აღება, დაყენდება ხელსაწყოები, რომლებიც დააფიქსირებენ სასმელი წყლის სათავეებში წყლის დინამიკას. მისი განცხადებით კანარგო სრულ პასუხისმგებლობას იღებს გარემოსა და წყლის უსწაფრთხოების დაცვაზე და დამსწრეთ მოუწოდა პარტნიორობისაკენ, რასაც საბოლოოდ სიკეთე მოჰყვება ორივე მხარისათვისო.

მეტად მკაცრი და კრიტიკული იყო შეხვედრაზე საგარეჯოელთა სახელით სიტყვაში გამომსვლელების: ნოდარ ნუკრაძის, სოსო კავთუაშვილის, ეკა ბუზარიაშვილის, მაიკო ბუზარიაშვილის, ალექსი არაბულის, საგარეჯოს წყალკანალის მენეჯერის ოთარ ჩალათაშვილის, თინათინ მეზვრიშვილის, დარეჯან გილაშვილის შეფასებები „კანარგო-ჯორჯიას“ მისამართით. განსაკუთრეებით კი საგარეჯოს სათავესა და თვალთხევის ხეობის მიდამოებში საძიებო ბურღვითი სამუშაოების შესახებ. როგორც მათ აღნიშნეს, არავინ იცის, საიდან იღებს სათავეს საგარეჯოს სასმელი წყალი და ყოველ ბურღვა-აფეთქების სამუშაოს შეუძლია წყლის დაკარგვა გამოიწვიოს, როგორც ეს გასულ საუკუნეში მოხდა და სათავიდან წყალი დაიკარგა. გამოითქვა შენიშვნები ამ რამდენიმე წლის წინ ნინოწმინდაში ნავთობის ჭაბურღილის ამოფრქვევის შედეგად წარმოშობილი მოსახლეობის ჯანმრთელობის, სასმელი წყლის, ნიადაგისა და ბუნების დაბინძურების და სხვა პრობლემების შესახებ. აღინიშნა იმის შესახებაც, რომ ამოფრქვევის შემდეგ იმატა ონკოლოგიურად დაავადებულთა რიცხვმა არა მარტო ნინოწმინდაში, არამედ საგარეჯოში, რაც შესაბამისი ცენტრების მიერაცაა დაფიქსირებულიო.

საგარეჯოელებს ერთი სასმელი წყალიღა დაგვრჩა ვარგისი და დრევანდელ შეხვედრაზე შევთანხმდეთ, რომ სათავეს და თვალთხევის ხეობას ხელი არ ეხლოსო, ასეთი ხელშეკრულების დადება შესთავაზა „კანარგო-ჯორჯიას“ წარმომადგენლებს ერთ-ერთმა საგარეჯოელმა გამომსვლელმა. გამოითქვა აზრი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით საინიციატივო სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც იმუშავებს და დაარეგულირებს ამ საკითხებს.

## ქალაქი საგარეჯო

საგარეჯოს ე.წ. „ქვლივიძეანთ და ქურხულიანთ“ უბნის მოსახლეობა 20 წელი იმ სასმელი წყლით სარგებლობდა, რომელიც თავად მოსახლეობის თაოსნობით და ფიზიკური და მატერიალური შესაძლებლობებით იქნა გამოყვანილი მდ. წიფლის ხევისა და „შაშვის წყაროს“ ერთიანი ძარღვიდან. 20 წლის წინ მოძიებული სასმელი წყლის ეს პატარა წყარო თავადვე გაასუფთავეს და წყალშემკრების სახე მისცეს, შესაბამისადაც უვლიდნენ და პატრონობდნენ. ზაფხულის პერიოდში კი წყლის დებეტმა იკლო, ბოლო 3-4 თვე წყალი ჩვეული ოდენობით აღარ მოდიოდა. უბნის მოსახლეობამ სხვა წყლის ძარღვიც აღმოაჩინა , რომელიც აღნიშნული წყაროდან 700 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა. მათ თხოვნით მიმართეს დახმარებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობას და დახმარებაც მიიღეს. 700 მეტრი სიგრძის 50 მმ-იანი დიამეტრის პლასტმასის მილი მართლაც დიდი საჩუქარი აღმოჩნდა უბნის მოსახლეობისათვის. მათ თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობებით შეძლეს ე.წ. „შაშვის წყაროს“ წყლის შემკრებთან ახლადმოძიებული წყლის მიყვანა, საიდანაც მოსახლეობას მიეწოდება წყალი.

ქვლივიძიანთ და ქურხულიანთ უბნის მოსახლეობა მადლობას უხდის საგარეჯოს მუნიცხიპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **ილია ჭიაურელსა** და ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს **ცისმარ თედიაშვილს** დახმარებისათვის და მხარში დგომისათვის!.

## ამბები

### ვერხვიანი

დაზიანებული წყალსადენის მაგისტრალური მილის აღდგენა მოხდა სოფელ ვერხვიანში. აღნიშნული მაგისტრალური მილი სოფლის თავსა და სოფლის ბოლოში არსებულ სასმელი წყლის რეზერვუარებს აკავშირებს ერთმანეთთან.

### მეწყერი ოთარაანთკარში

10 აგვისტოს, საღამოხანს სოფ. ოთარაანთკარში მეწყერი ჩამოწვა, მიზეზი ბოლო დროს გახშირებული წვიმებია,.შემთხვევის ადგილზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ქურდოვანიძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი იოსებ თედიაშვილი, სოფ. კოჭბანის რწმუნებული მალხაზ წიკლაური იმყოფებოდნენ. შ.პ.ს. „არილი“-ს წარმომადგენელებმა ტექნიკის მისვლამდე ხელით აწარმოეს გაწმენდითი სამუშაოები.



## „არტგენი — 2013“
### საგარეჯოელებმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს

არტგენმა ამჯერად მეათედ უმასპინძლა ქართული ხელოვნების მოყვარულთ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან იქ წარმოდგენილი იყო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები: უდაბნოს ქალთა ვოკალური ანსამბლი „კასლეთილა“ (ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი), კაკაბეთის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „კაკაბელები“ (ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი) და საგარეჯოს სანიმუშო სახალხო ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელი თინათინ მეზვრიშვილი). როგორც აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების“ დირექტორი ბესო ღვინაშვილი იხსენებს: – კახეთის რეგიონიდან თანდათან მოწონება ახმეტამ დაიმსახურა, მაგრამ, როცა ჩვენი მუნიციპალიტეტის ანსამბლები წარდგნენ, მაყურებელი ჯერ დაიძაბა, შემდეგ კი თანდათან აჰყვა ჩვენს მომღერლებსა და მოცეკვავეებს. „კაკაბელების“ მიერ შესრულებულ სიმღერებს „ვისია, ვისია“ და „ცანგალა და გოგონას“, ანსამბლ „იმედის“ მიერ შესრულებული ცეკვებიც ჩაერთო, უკვე ფეხზე იდგა ყველა და ისეთი რიტმით უკრავდა ტაშს, აშკარა იყო, ის უცხოელი სტუმრებიც და ქართველი მაყურებელიც ამ ორი ერთად შესრულებული ნომრის თანამონაწილე გამხდარიყო...

მართალია, არტგენის ფესტივალი წმინდა ფოლკლორული ხასიათის არ არის, მაგრამ, აქ არის ქართული სიმღერის, ცეკვის, საბრძოლო ხელოვნების, ქართული რეწვის ჩვენება-პროპაგანდა. მასში ფესვები მაინც ქართულია – მართალი, ალალი, ჭეშმარიტი. აქ არავინ არავის ეჯიბრება, მაგრამ აშკარად იგრძნობა მხოლოდ შეჯიბრი ყოველივე ქართულისადმი სიყვარულის და პატივისცემის. აქ ხელოვნების მოყვარულნი ხელოვან ადამიანებს ტაშით, ოვაციებით და სიყვარულით აჯილდოებს. ხელოვანს კი მეტი რა უნდა?!

## პატივი მიაგეს მათ ხსოვნას

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის 8 აგვისტოს ომში საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან დაღუპული მეომრების გიორგი კირაკოზაშვილისა და რევაზ მამისაშვილის მემორიალი და საფლავი ყვავილებით შეამკეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ცისმარი თედიაშვილმა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარემ ილია ჭიაურელმა, მათ აქვე დაღუპულთა ოჯახებს ფულადი დახმარება გადასცეს.

# ნავთობსაძიებო სამუშაოები, რომლებიც მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს

მიმდინარე წლის მარტიდან მოყოლებული, ნავთობმომპოვებული შპს „კანარგო-ჯორჯიას" დაკვეთით, რომელსაც, როგორც ცნობილია, უკვე მთელი რიგი წლებია ჩვენი მუნიციპალიტეტის ორი ჭაბურღილიდან აწარმოებს ნავთობის მოპოვებას, გერმანული კომპანია DMT ბურღვა-აფეთქებითი მეთოდის გამოყენებით აწარმოებს ორგანზომილებიან სეისმურ კვლევებს ნავთობის საბადოების აღმოსაჩენად. იგივე ზემოხსენებული კომპანიის მიერ შედგენილია მუნიციპალიტეტის იმ დასახლებული პუნქტების რუკა, სადაც აღნიშნული სამუშაოების ჩატარებაა გათვალისწინებული და დატანილია ბადეზე, რომელზეც აღნიშნულია, თუ კერძოდ რომელ წერტილში უნდა ჩატარდეს აღნიშნული სადაზვერვო სამუშაოები. სწორედ ამ „ბადეს" უნდა „უმადლოდნენ" საგარეჯოელები იმ ინციდენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ თვეში საგარეჯოს სათავეში, როცა ამ სადაზვერვო-საძიებო სამსახურმა, სათავიდან 50 მეტრში აღნიშნული სახის სამუშაოების საწარმოებლად ტექნიკა შეიყვანა. ყველამ, ვინც კი საგარეჯოს სათავის ისტორია იცის, მოეხსენება, რომ მისი წყალი ერთხელ უკვე გადაურჩა დაკარგვას, ამიტომ ბუნებრივია ის რეაქცია, რაც სადაზვერვო სამსახურის ამ გადაწყვეტილებას საგარეჯოელების მხრიდან მოჰყვა. ხალხი ერთად გამოვიდა და წინ აღუდგა სათავის „ყურისძირში" ამ სამუშაოების დაწყებას და ხელი შეუშალა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას. ცოტა მოგვიანებით, მსგავსი ისტორია განმეორდა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის მიმდებარე სასაფლაოსთანაც, სადაც გერმანული კომპანია გეგმავდა აღნიშნული სამუშაოების ჩატარებას. აქ, როგორც სათავეში მომხდარი ინციდენტი, შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია განმუხტა და აღელვებული ხალხი დააწყნარა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელის, გამგეობისა და ქ. საგარეჯოს ტერიტორიული ორგანოს მუშაკების საქმეში ჩარევამ, რომლებიც ხალხს დაპირდნენ – მიიღებდნენ სათანადო ზომებს მსგავს ადგილებში ამ სამუშაოების ასაკრძალავად. საბედნიეროდ, ეს სამუშაოები აღნიშნულ მიდამოებში აღარ ჩატარებულა, მაგრამ მოსახლეობას, რომელსაც კარგად ახსოვს ნინოწმინდაში ნავთობის ჭაბურღილიდან ნავთობის ამოფრქვევის გახმაურებული ისტორია, და როგორც ამბობენ, ამას მუნიციპალიტეტში ონკოლოგიურ დაავადებათა მკვეთრი ზრდა მოჰყვა, კვლავაც უნდობლად და ეჭვის თვალით უცქერის ამ სამუშაოების მიმდინარეობას.

ცივილიზაციის თანამედროვე პირობებში ყველამ კარგად უწყის, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ნავთობის ჭაბურღილის მოძიება-დადგმის სამუშაოებს და კატეგორიულად მოვითხოვთ სათავეში მათ შეჩერებასო – აცხადებდნენ ისინი. მოსახლეობის აღნიშნული აზრისა და მოთხოვნის გათვალისწინებით, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელს*** **ГИОРГИ** 

**გიორგი ზირაქაშვილს:**

***– ბატონო გიორგი, ცნობილია, რომ აღნიშნული სახის სამუშაოების საწარმოებლად საჭიროა სათანადო ნებართვა. თქვენი სამსახური თუ არის კავშირში აღნიშნული ლიცენზიის გაცემაში, რომელმაც მოსახლეობის ამდენი ვნებათაღელვა და აღშფოთება გამოიწვია?***

– მსგავსი სახის სამუშაოებზე ნებართვებისა და ლიცენზირების გაცემა ჩვენი სამსახურის კომპეტენციაში არასოდეს ყოფილა და მას ქვეყნის ზემდგომ ორგანოებში გასცემენ ხოლმე . ამ შემთხვევაში ნებართვა გაცემულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ და მის მოქმედებას წლის ბოლომდე აქვს ვადა. ამ ლიცენზიის საფუძველზე გერმანული ფირმა „კანარგო-ჯორჯიას" დაკვეთით ასრულებს სადაზვერვო სამუშაოებს, წინასწარ შედგენილ რუკაზე მონიშნული წერტილების მიხედვით . ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ შპს-ს აღმასრულებელი დირექტორის ვ. საყვარელიძის სამუშაოების წარმოებაზე გაცემული თანხმობის წერილში სხვათა შორის წერია: „შეგახსენებთ, რომ სამუშაოების ჩატარებისას გაითვალისწინეთ ფართობზე არსებული კომუნიკაციები და იმოქმედეთ უსაფრთხოების ტექნიკით გათვალისწინებული ნორმებით". გასარკვევია, რა იგულისხმება „არსებული კომუნიკაციების" ქვეშ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ხალხისათვის საჭირო სასიცოცხლო მნიშვნელობის კომუნიკაციები, ამ შემთხვევაში წყლის სათავე-ნაგებობებიც უნდა იგულისხმებოდეს, რაც არ იქნა გათვალისწინებული. ასეა თუ ისე, საბედნიეროდ, ჩვენ შევძელით სათავის მიმდებარე ტერიტორიაზე აღნიშნული სამუშაოების შეჩერება და რუქაზე დატანილი ბადის ორი ზოლის ზემოთ გადატანა. მსგავსი სამუშაოები აღარ ჩატარდება საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესიის მიმდებარე სასაფლაოებთანაც. ერთი სიტყვით, ახლა ამ მხრივ მუნიციპალიტეტში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა იმასთან შედარებით, ვიდრე ეს საძიებო სამუშაოების დაწყებისათვის გვქონდა.



***– რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?***

– საქმე იმაშია, რომ ჩვენი მოსახლეობიდან შემოსული განმარტებების საფუძველზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოთხოვნით სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ლიცენზიანტ და მის ქვეკონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლების შემადგენლობით ჩვენს მუნიციპალიტეტში სეისმური კვლევების მიმდინარეობისას შექმნილი ვითარების დასადგენად, რათა ადგილზე ერთობლივად შეფასდეს შექმნილი ვითარება. ამ სამუშაო ჯგუფში მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩართულია ჩვენი წარმომადგენელი ვახტანგ ლაფაჩიშვილი, რომელიც მუდმივად საქმის კურსში გვაყენებს. ადრე კი ჩვენი არც ერთი წარმომადგენელი არ მონაწილეობდა ამ საქმეში. ასევე, მოსახლეობაში გროვდება ხელმოწერები აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, რაც უახლოეს მომავალში გადაეგზავნებათ ჩვენს ზემდგომ ორგანოებს და იმედია, ამას ხალხისთვის სასარგებლო სათანადო რეაგირება მოჰყვება.

***– სადაზვერვო სამუშაოების განხორციელების შემდგომ პატარძეულში წყაროს წყალი დაკარგულა. რა კომენტარს გააკეთებდით თქვენ აღნიშნულთან დაკავშირებით?***

– ამ ფაქტთან დაკავშირებით ახლა მიდის დავა, ამ სამუშაოების ჩატარების შედეგად დაიკარგა წყალი თუ სხვა ფაქტორების გამოისობით. ჩატარდება სათანადო გამოკვლევები და თუ დადგინდა, რომ ეს მართლაც ამ სამუშაოების შედეგად მოხდა, მოპასუხე მხარე ვალდებულებას იღებს აღადგინოს წყარო, ან გამონახოს წყლის ალტერნატიული წყარო, დადგას ჭაბურღილი.

*ესაუბრა გივი დაბახიშვილი*

# „ლომთაგორა" – ქართული ხორბალი მაღალი მოსავლიანობის საწინდარი

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ყველა სახის მემცენარეობის პროდუქციის წარმოება კატასტროფულად დაეცა, რაც კიდეც დაეტყო ქართულ ბაზარს. ყველა დამემოწმება, რომ ასეთი შესაძლებლობების ქვეყანა გაჯერებულია იმპორტული პროდუქციით.

უკეთესად არ არის საქმე ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, სადაც სახნავი ფართობები ისედაც შემცირებულია. ხორბლის და ქერის დაბალი მოსავლიანობის ძირითადი მიზეზი მიწათმოქმედების სისტემის არასრულყოფილება, ამასთანავე, არსებული ხორბლის ჯიშების დაბალმოსავლიანობაა.

დღესდღეობით ქვეყანაში აღარ არსებობს სათესლე მეურნეობები, მოშლილია სამეცნიერო-სასელექციო ინსტიტუტების მუშაობა, ფაქტიურად აღარ არსებობს საგამოცდო სადგურები. ამა წლის ივნისის თვეში ვიმყოფებოდით მარნეულის მუნიციპალიტეტში ფირმა „ლომთაგორას" სანერგეში, სადაც თანამედროვე დაავადებებისადმი გამძლე უხვმოსავლიანი ქართული ხორბლისა და სიმინდის ჯიშები „ლომთაგორა" გამოიყვანეს.

აქ, სხვადასხვა ზომის ფართობებზე მსოფლიოში ცნობილი თითქმის 50 ჯიშის ხორბალია დათესილი. ცნობილი ქართველი მეცნიერ-სელექციონერები, რომლებიც აღნიშნულ ფირმაში მუშაობენ, წლების განმავლობაში აკვირდებიან საუკეთესოებს, რომლებიც კარგად შეეგუენ ჩვენს პირობებს და კლიმატს. შემდეგ სელექციით გამოჰყავთ ელიტური და სუპერელიტური, პირველი და II თაობის უხვმოსავლიანი ხორბლის ჯიშები, რომლებსაც ამრავლებენ ფერმერებისათვის გადასაცემად.

დღეს მათ უკვე ხორბლის შვიდი ჯიში აქვთ დარეგისტრირებული.

აღნიშნულ ფირმაში ხორბლის სხვადასხვა ჯიშების დათვალიერებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ ხორბლის მაღალ მოსავალს ელოდებიან – ჰექტარზე 5-6 ტონა ხორბალს.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ფერმერებისათვის უხვმოსავლიანი სათესლე მასალის მოპოვება ხშირად დიდ პრობლემას წარმოადგენს. ფირმა „ლომთაგორა" კი სწორედ ქართველ ფერმერებზეა ორიენტირებული და უზრუნველყოფს მათ მაღალხარისხოვანი სათესლე მასალით. აღნიშნული თესლების შეძენა თავისუფლად შეუძლიათ ჩვენს ფერმერებს.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სტაბილური და უხვი მოსავლის მისაღებად მარტო უხვმოსავლიანი სათესლე მასალა არ არის საკმარისი და საჭიროა ნიადაგის სათანადოდ მოვლა, რადგან ნუ დაგვავიწყდება, რომ ნიადაგი ცოცხალი ორგანიზმია, იგი ისევე იღლება, ზიანდება, ავადდება, როგორც ცოცხალი არსება და ამასთან საჭიროებს გაფრთხილებას, და აგროწესების ზუსტად დაცვას.

*ნიკოლოზ ჯაპახიშვილი,*

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი***

სოფლის მეურნეობა

# ალოობა დამთავრდა, იწყება ახლისათვის სამზადისი

ვარგა ხანია, რაც ივრისპირეთში ალოობა დამთავრდა. მუნიციპალიტეტის მხვნელ-მთესველებმა დააბინავეს წლის მოსავალი. როგორი შედეგები ჰქონდათ წელს გარეკახეთში და რა არის საჭირო მოსავლიანობის ამაღლებისათვის, რომელი ჯიშის მარცვლეულის მოყვანაა უფრო პერსპექტიული ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*** **ნიკოლოზ ჯაპახიშვილი**.

***– ბ-ნო ნიკოლოზ, ჩვენი მუნიციპალიტეტი ოდითგანვე მევენახეობის რეგიონად ითვლება, თუმცა არც ხვნა-თესვა და თავთავიანების მოყვანა ყოფილა ჩვენებურებისათვის ნაკლებად რენტაბელური. რა თქმა უნდა, ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. წელს რამდენი ჰექტარი ფართობი ეკავა პურეულ ნათესებს?***

– თავთავიანები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წელს სულ დათესილი იყო 5207 ჰექტარზე. აქედან 5197 ჰექტარზე – საშემოდგომო თავთავიანი კულტურები, 10 ჰექტრამდე კი საგაზაფხულო ქერი. ნათესების უმეტესი ნაწილი – 4153 ჰექტარი დათმობილი ჰქონდა საშემოდგომო ხორბლის, 1044 ჰექტარი კი საშემოდგომო ქერის ნათესებს.

***– და როგორია წელს მათი მოსავლიანობა?***

– წელს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ქერის საშუალო საჰექტარო გამოსავლიანობამ 1.6-1.7 ტონა შეადგინა, ხოლო ხორბლისამ – 2,0-2,1 ტონა, თუმცა იყო ცალკეული ნაკვეთები, სადაც ამ მაჩვენებლებმა 3 ტონასაც გადააჭარბა. უფრო დაბალი გამოსავლიანობა ჰქონდა თავთავიანების საგაზაფხულო ნათესებს.

***– ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს მაჩვენებლები გაცილებით დაბალია მარცვლეულის მწარმოებელი სხვა მუნიციპალიტეტების მაჩვენებლებთან. თქვენ როგორ ახსნით ამას, ეს ჩვენი სავარგულების გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების ბრალია თუ სხვა ფაქტორებისაც?***

– რა თქმა უნდა ასეთ მოსავლიანობას გარკვეულწილად განაპირობებს საგარეჯოს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერებისა და გლეხობის უმრავლესობა არ, ანდა ვერ იცავს თავთავიანების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ წესებსა და ღონისძიებებს. აგროტექნიკურ ვადებში არ მუშავდება მიწები, სათანადოდ არ ხდება ნათესების გამოკვება, რწყვა, სარეველებზე დამუშავება და ა.შ. ჩემი აზრით ამაში ბრალი ჩვენი მიწათმოქმედების ხელმოკლეობასაც მიუძღვის. მარცვლეულზე ფასები ვერ უზრუნველყოფს გაწეული ხარჯების დაფარვას, რის გამოც ვერ ახერხებენ აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას.

***– ალბათ ამავე მიზეზით არიდებენ თავს ბანკებიდან სესხების გამოტანასაც. თუ მიღებული შემოსავალი ვერ აუნაზღაურებთ ხარჯებს, სესხებს როგორ დაფარავენ? სხვათა შორის, რა ფასებია ახლა მარცვლეულზე და თუ გაქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, სად უფრო სარფიანად შეძლებენ მიწათმოქმედები მათ რეალიზაციას?***

– წელს მარცვლეულის საბითუმო შესასყიდი საშუალო ფასები 45-50 თეთრის ფარგლებშია, როგორც პურპროდუქტების მწარმოებელ ბაზებში, ისე ბაზარზე. ეს ითქმის როგორც ხორბალზე, ისე ქერზე. შედარებით მეტი ფასი აქვს გაწმენდილ, სათესლე მასალას. რაც შეეხება მარცვლეულის რეალიზაციის საქმეს, ზოგიერთმა ფერმერმა პურპროდუქტების მწარმოებელ ობიექტებში გაუკეთა რეალიზება, ნაწილი კი აგრარულ ბაზრებში ჰყიდის.

***– ხომ არ გაქვთ დაკვირვება, წელს მუნიციპალიტეტში ძირითადად რა ჯიშის თავთავიანები იყო დათესილი და მათგან რომელმა აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი?***

– წელს ძირითადად დათესილი იყო „ჯაგერი", „კოპერი", „უფხო-1", „ლომთაგორა". მათგან მაღალმოსავლიანობით ის ფართობები გამოირჩეოდა, რომელთაც თავის დროზე და სათანადოდ ჩაუტარდა აგროტექნიკური ღონისძიებები. ისე, ჩემი დაკვირვებით, შედარებით უკეთესი ნათესები იყო იქ, სადაც „ლომთაგორა" ჰქონდათ დათესილი.

***– ჩვენი გლეხობა და ფერმერები ძალზე გაახარა და დიდი შეღავათი მისცა ამ საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანიისათვის მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებამ. ფაქტიურად გლეხს მარტო ის რჩებოდა, რომ მექანიზატორისათვის დასამუშავებელი ფართობი ეჩვენებინა. ამ საშემოდგომო ხვნა-თესვისთვისაც ხომ არ იგეგმება მთავრობის მიერ მსგავსი ღონისძიებების გატარება?***

– ჯერჯერობით ამის შესახებ ჩვენი სამსახური არავითარ ინფორმაციას არ ფლობს და თუ გადაწყდება მსგავსი ღონისძიებების გატარება, ამას პირველ რიგში ჩვენ შევიტყობთ და მოსახლეობასაც დროულად ჩავაყენებთ საქმის კურსში.

***– ნელ-ნელა ახლოვდება საშემოდგომო თავთავიანების ხვნა-თესვის ვადები. ხომ არ დააკონკრეტებდით, კერძოდ როდის უფროა მიზანშეწონილი ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ სამუშაოების ჩატარება?***

– აგროვადებით ჩვენს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ხვნა აგვისტოდან იწყება. რაც შეეხება თესვას, ამის საუკეთესო აგროვადებია 20 სექტემბრიდან 15-25 ოქტომბრის ჩათვლით.

***– რომელი ჯიშის მარცვლეულის დათესვა მიგაჩნიათ უფრო მიზანშეწონილად მუნიციპალიტეტში?***

– ქვეყნის სხვადასხვა სათესლე მეურნეობები ამ მხრივ ფართო არჩევანს სთავაზობენ ჩვენს მიწათმოქმედებს, მაგრამ მე უპირატესობას უფრო „ლომთაგორას" ჯიშის ხორბლებს ვანიჭებ. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე მაქვს პატარა ზომის ნაკვეთი და იქ უსათუოდ ამ ჯიშის ხორბლის დათესვას ვაპირებ. კარგი მახასიათებლები აქვს ჩვენი ზონისათვის „უფხო-1-ს", რომელიც ყინვა და გვალვაგამძლიანობით ხასიათდება.

სათესლე მასალის ფართო არჩევანს სთავაზობს მომხმარებელს „მემამულეთა კავშირი". მათ შეუძლიათ მსურველს მიაწოდონ ამერიკული „კოპერის" და „ჯაგერის" რუსული წარმოშობის „ტანიასა" და „იუკას", ასევე კრასნოდარული სათესლე მასალები. თავისთავად, ყველა ეს ჯიში მაღალმოსავლიანი და მომგებიანია, მაგრამ მხოლოდ იმ პირობებში, როცა მათ სრულად და აგროვადებში უტარდებათ ყველა აგროტექნიკური ღონისძიება. მცენარე, როგორც ადამიანი, ცოცხალი ორგანიზმია და როგორც ადამიანი ვერ გაძლებს რომელიმე კომპონენტის გარეშე, ისეა ხორბალიც. ერთი სიტყვით, თუ გვსურს გვქონდეს მარცვლეულის სათანადო მოსავალი, სათანადოდაც უნდა გავისარჯოთ მათ მოსაყვანად.

***– და ბოლოს, ბატონო ნიკო, როგორ შეაფასებდით წლევანდელი სამუშაოების შესრულებაში შპს „მექანიზატორის" როლს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს საშემოდგომო ხვნისათვის აქვს შემონახული კომბინირებული ბარათი, გამოდის, რომ მათი მომსახურება ისევ დასჭირდება ხალხს.***

– შპს „მექანიზატორმა" და მისმა მექანიზატორებმა, საზოგადოების ხელმძღვანელმა გია მარხვაშვილმა დიდი როლი შეასრულეს ჩვენს მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის სოფლის მეურნეობის პროგრამის განხორციელების საქმეში. მათ აქვთ თანამედროვე, მძლავრი ტექნიკა, რითაც შესაძლებელია ნებისმიერი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით გაართვეს თავი თავიანთ წინაშე მდგომ ამოცანებს და იმედი ვიქონიოთ, არც მომავალში შეირცხვენენ თავს, ყველაფერი ამისათვის ისინი მოსახლეობის მადლიერებასა და შექებას იმსახურებენ და ეს დამოკიდებულება – ურთიერთობები შემდგომში ალბათ უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება.

*ესაუბრა გ. დაბახიშვილი*

## განათლება

# მქვს საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება

*** იორმუღანლოში ახალი სასკოლო კორპუსი ამოქმედდება**

*** ლამბალოში 1015 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობა დაიწყება**

მოსწავლეებისათვის არდადეგების, სკოლის ხელმძღვანელებისათვის კი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროა აგვისატო. წინა წლებში ჩატარებული სხვადასხვა სახის სამშენებლო ღონისძიებების მიუხედავად, ბევრ სკოლას ჯერ კიდევ სჭირდება სხვადასხვა სახის სამუშაოები, რათა მოსწავლე-ახალგაზრდობას სწავლა-განათლების შესაფერისი თანამედროვე პირობები შეექმნათ. კერძოდ, თუ სად და რა კეთდება ამ კუთხით, კომენტარი ვთხოვეთ ***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსს*** ქ-ნ **მანანა ცუცქირიძეს.**

***– ქ-ნო მანანა, როგორც ცნობილი გახდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო ქვეყნის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის განხორციელება. თუ მოხვდნენ ამ პროექტში ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლები და რა კრიტერიუმებით მოხდა ამ პროექტში ჩართვა?***

– გიდასტურებთ, რომ ჩვენმა სამინისტრომ მართლაც დაიწყო აღნიშნული პროექტის განხორციელება; კერძოდ, პროექტის ფარგლებში ხორციელდება შენობათა კარ-ფანჯრების და სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ პროექტში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან შეირჩა და ჩართულია 6 ის სკოლა, სადაც ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა გვქონდა და ამ სახის გადაუდებელ სამუშაოებს საჭიროებდნენ.



***– კერძოდ, რომელი საჯარო სკოლები შევიდნენ ამ პროექტში და რა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდება თითოეულ მათგანში?***

– აღნიშნულ პროექტში ჩართული არიან უდაბნოს, კაკაბეთის, ყანდაურის, პატარა ჩაილურის, ნინოწმინდისა და ქ. საგარეჯოს III საჯარო სკოლები. რაც შეეხება იქ შესასრულებელ სამუშაოებს: უდაბნოს სკოლაში მოხდება კარ-ფანჯრისა და შენობის სახურავის რეაბილიტაცია, კაკაბეთში სკოლას შეეცვლება სახურავი, ყანდაურის სკოლაში – კარ-ფანჯარა და სახურავი. რაც შეეხება პატარა ჩაილურის, ნინოწმინდისა და საგარეჯოს III საჯარო სკოლებს – აქ სარეაბილიტაციო სამუშაოები მხოლოდ კარ-ფანჯრების შეცვლას ითვალისწინებს.

***– აქ გამოყენებული მასალა ალბათ მეტალოპლასტმასი იქნება არა?***

– კი, რა თქმა უნდა.

***– აღნიშნულ სამუშაოებს განათლების სამინისტრო აფინანსებს, თუ წილობრივი მონაწილეობის პრინციპით შესრულდება?***

– ამ პროექტს სამინისტრო ახორციელებს და დაფინანსებითაც მთლიანად თვითონ უზრუნველყოფს.

სამინისტრომ გამოაცხადა შესაბამისი ტენდერი, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაცია და დაიწყო ამ სამუშაოების განხორციელება.

***– რამდენად რეალურია ახალი სასწავლო წლისათვის იორმუღანლოს საჯარო სკოლის ახალი სასწავლო კორპუსის მწყობრში ჩაყენების საქმე?***

– ამ სკოლის ახალი კორპუსის ახალი სასწავლო წლისათვის იქაური მოსწავლეების სამსახურში რომ ჩადგეს არაფერი უშლის ხელს და როგორც მშენებლები გვპირდებიან, სექტემბრის პირველი ზარისათვის იქ ყველაფერი წესრიგში იქნება მოყვანილი.

***– რა ისმის ლამბალოს საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყების შესახებ, რომლის ამბავმაც არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა, უცხო ქვეყნის მედიასაშუალებებიც მოაირა.***

– ლამბალოს საჯარო სკოლის 1015 მოსწავლეზე გათვლილი შენობის მშენებლობა აგვისტოს ბოლომდე დაიწყება და წილობრივი მონაწილეობის პრინციპით განხორციელდება; თანხების უმეტეს ნაწილს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაიღებს, გარკვეულ ნაწილს კი – სკოლა, რომელსაც საამისო ბიუჯეტი გააჩნია.

*ესაუბრა*

*გივი დაბახიშვილი*

# სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლისათვის ემზადებიან

**ახალი სასწავლო წლიდან საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში მშობლები გადასახადს აღარ გადაიხდიან. ამ ინიციატივით პარლამენტარი თინათინ ხიდაშელი პარლამენტის წინაშე ჯერ კიდევ თებერვალში წარსდგა. როგორც ჩანს სექტემბრიდან სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა დიდი ნაწილი შეაღებს კარს. მოთხოვნილებაც მეტი იქნება. როგორ ხვდებიან ახალ სასწავლო წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღები და ბაღები ამ საგაზეთო სტატიიდან შეიტყობთ.**

*სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაობასა და იქ არსებულ პრობლემებზე, სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორი* **ელზა გილაშვილი.**

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 26 საბავშვო ბაგა-ბაღია.

სკოლამდელი და სკოლის გარეშე სასწავლო საალმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სუფსიდია გამოიყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 2013 წელს სკოლამდელების გაერთიანება დაფინანსებულია 1132190 ლარით, აქედან ბაგა-ბაღებზე გამოყოფილია 1037200 ლარი.

922 ბავშვის კვებაზე გამოყოფილია - 207000 ლარი, ამას დაემატა მშობელთა შემონატანი - 90000 ლარი. ხელფასებისათვის გამოყოფილია - 790558 ლარი, ხოლო ოფისისათვის -134632 ლარი. კვებაზე ტენდერების გამოცხადების შემდეგ გაერთიანებამ მიიღო ეკონომიის სახით – 132765 ლარი.

ექვსი თვის განმავლობაში ბავშვთა კვებაზე გაიხარჯა - 80996 ლარი.

თებერვალსა და მარტში ბაგა-ბაღებში ჩავატარეთ მონიტორინგი, რათა ადგილზე შეგვესწავლა იქ არსებული მდგომარეობა, ნორმალურ პირობებში მუშაობს რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღი. ასეთებია: დიდი ჩაილურის, პატარა ჩაილურის, შიბლიანის, ბოგდანოვკის, კაკაბეთის №1, მანავის №1, თოხლიაურის, პატარძეულის №1, ხაშმის, წყაროსთავის, საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღი, საგარეჯოს №3 საბავშვო ბაგა – ბაღები. კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ: ყანდაურის, ბადიაურის, კაკაბეთის №2 (აქ შენობის კედლებიც გადაწეულია, ქმნის საშიშროებას. საბავშვო ბაღში გასულ სასწავლო წელს მხოლოდ ერთი ჯგუფი ფუნქციონირებდა, ახლა სექტემბრისათვის აქ 40 ბავშვს ელოდებიან. 40 აღსაზრდელი შეუძლებელია ერთ ჯგუფში განთავსდეს). ვერხვიანის საბავშვო ბაღის შენობა ძალზე მოძველებულია. ის ტერიტორიული ორგანოს შენობაშია განთავსებული და ტუალეტიც ეზოშია. მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის მიწოდების საკითხი. ნინოწმინდის საბავშვო ბაგა–



ბაღის „სოფლის განვითარების" პროგრამის ფარგლებში გამოეყო 15 ათასი ლარი, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგეობის 6 ათასი ლარიც დაემატება და აქ 15 ათასი ლარით 4 სველი წერტილის მოწესრიგება მოხერხდება, ხოლო 6 ათასი ლარით მოწესრიგდება სამზარეულო,.პატარძეულის №2, გომბორის (აქ სარემონტო და მოსაწესრიგებელია ოთახები). უდაბნოს საბავშვო ბაღში არ არის სველი წერტილები და თავად საბავშვო ბაღის შენობაც სარემონტოა. ბაღში ორი ჯგუფი ფუნქციონირებს და საკმაოდ აქტიურადაც. მანავის №3 საბავშვო ბაღი ტერიტორიულად სოფელ ბურდიანშია. ადრე ბაღის შენობა აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, მაგრამ, ახლა სერიოზულ სარემონტო სამუშაოებს მოითხოვს. მოსაწესრიგებელია საბავშვო ბაღამდე მისასვლელი გზა, რის გამოც მშობლებს ბავშვების წაყვანა შორ მანძილზე, სხვა საბავშვო ბაღში უხდებათ. ასევე სერიოზულ ყურადღებას ითხოვს საგარეჯოს №1 ბაგა-ბაღი და საგარეჯოს №3 საბავშვო ბაღი. უჯარმის საბავშვო ბაღს აქვს ახალი შენობა, მაგრამ გაუმართავი კანალიზაციის გამო შენობა ვერ ფუნქციონირებს, რაც შეეხება საგარეჯოს №2 საბავშვო ბაღს – სავალალო მდგომარეობაშია, დაუმთავრებელია ბაღისათვის გამოყოფილი შენობა, ის შენობა კი, რომელშიც მოთავსებულია საბავშვო ბაღი რემონტს არც ექვემდებარება. პრობლემურია ხაშმის საბავშვო ბაღის შენობაც, რომელსაც წვიმის წყალი ახლომდებარე შენობის სართულიდან ჩასდის. მოსაწესრიგებელია საბავშვო ბაღის ეზოც.

მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად შევამოწმეთ საბავშვო ბაღებში და ბაგა-ბაღებში კვების პროდუქტების ხარისხი და კვების ბლოკი, უმეტეს შემთხვევებში ბაღები აკმაყოფილებენ სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს, თუმცა ზოგიერთ ბაღში ხშირად მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (არა აქვთ გამდინარე და ცხელი წყალი) სტანდარტები ირღვევა, რის გამოსწორებასაც ყველანაირად ვცდილობთ. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბოსტნეული საშუალო ხარისხისაა, რამდენჯერმე შემოტანილი ხორცი და კვერცხი უხარისხო იყო, რის გამოც დისტრიბუტორს პროდუქტი უკან დაუბრუნდა და მოხდა ახალი პროდუქტის შემოტანა. დანარჩენი კვების პროდუქტები სტანდარტებს შეესაბამება. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს გავზარდოთ კვების რაციონი და ნორმები – მუნიციპალიტეტის დახმარებით კვება სამჯერადი გავხადოთ, შევიტანოთ ბაგა-ბაღებში რძის პროდუქტები, კვირაში ერთხელ თევზი და ქათამი.

2013 წლის იანვრიდან დღემდე რამდენიმე ბაგა-ბაღში მოხდა გაზიფიცირება, კერძოდ: წყაროსთავის, გიორგიწმინდის, ხაშმის საბავშვო ბაღებში. საგარეჯოს №1 საბავშვო ბაგა-ბაღში მოხდა გაზის მრიცხველის შეცვლა, საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღში დამონტაჟდა წყლის ავზი და წყლის გამაცხელებელი, რადგან იქ გამდინარე წყლის დეფიციტი იყო. წყაროსთავის საბავშვო ბაღში მოეწყო ეზოს სათამაშოები. ხაშმის საბავშვო ბაღისათვის შევიძინეთ ახალი ინვენტარი, საგარეჯოს №3 ბაგა-ბაღში მოხდა კანალიზაციის შეკეთება, პატარძეულის №1 საბავშვო ბაღში შეიცვალა ელექტრო გაყვანილობა და დამონტაჟდა ახალი მრიცხველი, ვერხვიანის საბავშვო ბაღში შეკეთდა მუსიკალური ინსტრუმენტი, წყლის დეფიციტის გამო შევუძინეთ წყლის ავზები პატარძეულის №1 და მანავის №1 საბავშვო ბაღებს. მუნიციპალიტეტის გამგეობის და ელექტრომომარაგების გაერთიანების ხელშეწყობით მოხდა უდაბნოს, უჯარმის და ბადიაურის საბავშვო ბაღების გამრიცხველიანება. ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოში არსებული წყლის რეზერვუარები დაიფარა დამცავი ბადით. 6000 ლარი გამოიყო საბავშვო ბაღებისათვის სკამების შესაძენად.



მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით გადაიხურა ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღი, გიორგიწმინდის საბავშვო ბაღში და საგარეჯოს №1 საბავშვო ბაგა-ბაღში შეიცვალა კარ-ფანჯარა და დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

სოფლის განვითარების პროექტიდან დაგეგმილია ზოგიერთი საბავშვო ბაღისა და ბაგა-ბაღის კეთილმოწყობა, კერძოდ ნინოწმინდის საბავშვო ბაგა- ბაღში სრულად უნდა გაკეთდეს სველი წერტილები და დამონტაჟდეს ცხელი წყლის სისტემა, ხაშმის საბავშვო ბაღში მოეწყობა ეზო, ვერხვიანის საბავშვო ბაღში მოხდება ბაღის რემონტი და შენობაში მოეწყობა ტუალეტი, ყანდაურის საბავშვო ბაღში გაკეთდება საწვეთურები და შერემონტდება რამდენიმე ოთახი, პატარძეულის №2 საბავშვო ბაღს მიეწოდება სასმელი წყალი.

მიმდინარეობს ზრუნვა ბაგა-ბაღებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გასაუმჯობესებლად. გაერთიანება სისტემატიურად უწევს მონიტორინგს საალმზრდელო პროცესს, რომელიც მიმდინარეობს წლიური სამუშაოს გეგმის მიხედვით; უწევს მეთოდურ დახმარებას აღმზრდელებს და აწვდის ყველა ინოვაციას. დავუკავშირდით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრს (დირექტორი თ. ქემაშვილი), რომელმაც საგარეჯოს საბავშვო ბაღებისათვის ჩაატარა ტრენინგები ბაღის მენეჯერებისათვის, აღმზრდელებისათვის, ფსიქოლოგებისა და ლოგოპედებისათვის. ტრენინგებს ვესწრებოდით გაერთიანების თანამშრომლები. იგი ჩატარდა საკმაოდ მაღალ კვალიფიციურ დონეზე. ჩვენმა თანამშრომლებმა მიიღეს უახლესი ინფორმაციები აღზრდის ახალ მეთოდებზე და სწავლების მეთოდებზე.

სკოლამდელ გაერთიანებას ასევე მჭიდრო კავშირი აქვს არასამთავრებო ორგანიზაცია "კივიტას გეორგიკასთან" ხელმძღვანელი (ა. კალანდაძე), რომელიც მთელი ქვეყნის მაშტაბით ახორციელებს მეთოდურ და საალმზრდელო მუშაობას სკოლამდელ დაწესებულებებში, ხსნის ალტერნატიულ ჯგუფებს ისეთ დასახლებებში, სადაც საბავშვო ბაღები არ ფუნქციონირებს. პროექტებს ახორციელებს პოლონური ორგანიზაცია "ედუკატორი". მათი საშუალებით და მუნიციპალიტეტის დახმარებით აზერბაიჯანულ ზონაში გაიხსნა ორი ალტერნატიული საბავშვო ბაღი. ორგანიზაცია სისტემატიურად ატარებს უფასო ტრენინგებს, რომელსაც ესწრებიან გაერთიანების თანამშრომლები, აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები.

ბაღებისათვის შევიძინეთ უახლესი სასწავლო-საალმზრდელო პროგრამები და სახელმძღვანელოები.

ახალი სასწავლო წლიდან ჩვენ აღსაზრდელთა რიცხვის საკმაო მატებას ველოდებით. გადასახადის გაუქმებამ ყველა აღსაზრდელს გზა გაუხსნა საბავშვო ბაღისაკენ.

ეს მართლაც მისასალმებელია, რადგან სკოლა ვერ მიიღებს სრულფასოვნად მომზადებულ მოსწავლეს, თუ მან საბავშვო ბაღში სკოლისწინა მოსამზადებელი ეტაპები არ გაიარა.

კულტურა

# ის, რაც პრიორიტეტადაა მიჩნეული — ქართული ფოლკლორის შენარჩუნება



საგარეჯოს არასამეწარმეო იურიდიული პირი „კულტურის ობიექტების გაერთიანება“, რომელშიც შედის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლი და 5 სასოფლო კლუბი, ცენტრალური ბიბლიოთეკა და 2 სოფლის: პატარძეულისა და კაკაბეთის ბიბლიოთეკები, გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი და საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თავის ყოველდღიურ მუშაობას წარმართავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. მათი მუშაობა სახალისოცაა და საპასუხისმგებლოც, შინაარსიანიც და სასარგებლოც. სწორედ ამ გაერთიანების მუშაკთა მიერ გაწეულ საქმიანობაზე გვესაუბრება დღეს გაზეთის ფურცლებზე ამავე ***გაერთიანების დირექტორი*** **ბესიკ ღვინაშვილი:**

– ჩვენი გაერთიანების თითოეული თანამშრომლის საქმიანობა მიმართულია იქით, რომ საგარეჯოელ გემოვნებიან მაყურებელს, წიგნითა და ჩვენი რაიონის წარსულით დაინტერესებულ პიროვნებებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია, წარმოადგინოს ნებისმიერი დაინტერესება ისეთ დონეზე, რომ მას ჩვენს გაერთიანებაში არსებულ კულტურის ობიექტებში მეორედ მოსვლის სურვილი გაუჩნდეს. ამიტომ, ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ ჩვენი მუშაობის ისე წარმართვას, რომ მივუსადაგოთ მათ გემოვნებებს, მათ მიერ წამოყენებულ წინადადებებს. განვლილ 6 თვეში ჩვენთან ჩატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

ქალთა დღისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი ცეკვისა და სიმღერის ფოლკლორული ანსამბლები, აქვე მოწვეული იყო ანსამბლი „სნო”. გაიმართა საგარეჯოს სახალხო თეატრის სპექტაკლის „გარეჯულა” (ავტორი: ლ. გოთუა) პრემიერა. სპექტაკლში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული მსახიობები. იგივე სპექტაკლი ნაჩვენები იქნა რაიონის სკოლის მოსწავლეებისათვის – ადგილზე და მოხდა მისი გატანა გურჯაანის რაიონში. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს სპექტაკლი საერთოდ, პირველად სწორედ საგარეჯოს კულტურის სასახლეში დაიდგა საგარეჯოს თეატრალური დასის მიერ.

თოჯინების სახალხო თეატრის მიერ ნაჩვენები იქნა სპაქტაკლები: „ხუთკუნჭულა”, რომელიც გაიმართა აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეებისათვის ადგილზე. სპექტაკლმა დიდი დაინტერესება გამოიწვია პატარებში და მოხდა შეთანხმება, რომ მომავალი სასწავლო წლიდან რეგულარულად მოეწყობა აზერბაიჯანული ზონის ბავშვებისათვის სხვადასხვა სპექტაკლების ჩვენება. ადგილობრივი საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის ჩატარდა სპექტაკლი „ჩექმებიანი მგელი“ – ადგილზე და „ტყისკომედია” - №1 ბაგა-ბაღში გასვლით. ივნისში გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა პოეტის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მონაწილეობას იღებდნენ რაიონის შემოქმედებითი ჯგუფები, მოწვეული სტუმრები მწერალთა კავშირიდან და კულტურის სამინისტროდან. ღონისძიება გაშუქდა საქართველოს სხვადასხვა ტელემაუწყებლობის მიერ. ამავე დღეს საზეიმოდ გაიხსნა გ. ლეონიძის ბიუსტი, რომელიც მუზეუმს საჩუქრად გადასცა გორის ვ. სუხიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა. დიდი ინტერესი გამოიწვია აფხაზეთში და სამაჩაბლოში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილმა საქველმოქმედო ღონისძიებამ, რომლის ორგანიზატორიც იყო საქართველოს ქალთა საბჭო. შემოქმედებით – მხატვრულ ნაწილში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საგარეჯოს კულტურის სახლი. ჩატარდა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამა”-ს და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის” საანგარიშო კონცერტები. საგარეჯოელმა მაყურებელმა იხილა ამ შემოქმედებითი ანსამბლების მაღალი შემოქმედებითი პოტენციალი, სადაც მოწვეული იყვნენ საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის წარმომადგენლები და სხვა და სხვა ფოლკლორული ანსამბლები. მათი მუშაობა შეფასებულ იქნა მაღალ დონეზე.საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის მიერ ანსამბლ „იმედს” მიენიჭა „სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლის” წოდება, რომელიც პირადად ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ პროფესორმა ბატონმა რეზო ჭანიშვილმა გადასცა.

საინტერესო იყო და მაყურებელთა ვნებათაღელვა გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან ერთად ჩატარებულმა მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშებმა. მონაწილეობას იღებდნენ რაიონის სკოლის მოსწავლეები.

***– ბატონო ბესო, გაერთიანებაში შემავალ ცენტრალურ ბიბლიოთეკას მთელი რიგი სოფლების ბიბლიოთეკები გამოაკლდა წლების წინ, რაც ძალზე გულსატკენია. ამაზეც გვითხარით რამე.***

– დიახ, ეს ასეა. 2013 წლის პირველი ნახევრისათვის ცენტრალური ბიბლიოთეკის – მომსახურეთა რაოდენობა უკვე შედაგენს 16–ს. წიგნადი ფონდია 50015 ეგზემპლარი. მკითხველთა რაოდენობა 6 თვის განმავლობაში იყო 1169. წიგნის გაცემა მოხდა 5942 აბონენტზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის №7 განკარგულების საფუძველზე გაუქმდა 13 სოფლის ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნადი ფონდები შეადგენს 100465 ეგზემპლარს, თანხით - 187894 ლარი. მათ შორის ითვლება აგრეთვე ჩამოსაწერი წიგნების რაოდენობა და თანხა, რადგან არ მოხდა ჩამოწერა შესაბამისი დოკუმენტის არარსებობის გამო. გაუქმებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები განთავსებულია ყოფილი ბიბლიოთეკების შენობებში. მათ შენახვაზე და მოვლაზე პასუხისმგებლობა არავის არ აქვს დავალებული დღემდე. აგრეთვე ადგილზეა 2007 წლი 27 სექტემბრის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №73 განკარგულების საფუძველზე გაუქმებული წიგნადი ფონდები სოფელ ზ/ლამბალოში (ექვემდებარება სრულად ჩამოწერას), დუზაგრამაში და იორმუღალნოში (ნაწილობრივ ჩამოწერას, რადგან შერეულია რუსულენოვანი და მცირექართულენოვანი წიგნები) – წიგნები არის აზერბაიჯანულ ენაზე-გამოცემული 1992 წლამდე, 1992 წელს მოხდა შრიფტის შეცვლა და ახალი თაობისთვის შეიქმნა გამოუდეგარი. იმის გამო, რომ სოფლებში გაუქმდა ბიბლიოთეკები, წიგნადი ფონდი გადაეცათ საჯარო სკოლებს. ამჟამად საჯარო სკოლებზე გადაცემულია: 366246 ცალი წიგნი, საერთო თანხით: 87980 ლარის. ხელშეკრულებით გადაცემულია 4941 ცალი წიგნი, თანხით: 9838,8 ლარის. ცენტრალური ბიბლიოთეკის გაცვლით ფონდში დარჩენილია 15408 წიგნი, თანხით: 20536 ლარის. (მათ შორის ჩამოსაწერია 7771 ცალი წიგნი 8560 ლარის.) ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადმა ფონდმა შეადგინა 49125 ცალი.

მაგრამ კარგი ფაქტია ის, რომ ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ 2013 წელს უნდა შეიძინოს 10000 ლარის წიგნი. შეძენა მოხდება ორ ეტაპად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

მიუხედავად ყველაფრისა, ბიბლიოთეკა მაინც საინტერესო ღონისძიებების მოთავეა. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს მკითხველთა შემდეგი მომსახურება: საბავშვო, ბიბლიოგრაფიული, დაკომპლექტების, მკითხველებთან მუშაობის და აბონენტის მომსახურება. ბიბლიოთეკას ჩატარებული აქვს შემდეგი სახის სამუშაოები: გამოფენები მოზრდილთათვის, დავით გარეჯის მონასტერი, მწერალ რეზო ინანიშვილის გამოფენა, ვაჟა-ფშაველას გამოფენა სათაურით „ბუნება მბრძანებელია”, გამოფენა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით, გამოფენა „მსოფლიო მოვლენები, ფაქტები”, თამარ მეფის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით მიძღვნილი გამოფენა სათაურით „თამარი მზე საქართველოსი”, უნიკალურ გამოცემათა გამოფენა, „მკვიდრად ააშენა ვინაც ააშენა” – საქართველოს ეკლესია-მონასტრების ფოტოგამოფენა, ახალი წიგნები; ზღაპრის სამყაროში; მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს; ,გამონათქვამები წიგნზე”; „კ. გამსახურდია - 120 წლისთავი”; „ შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის და სტამბის 300 წელი”, იაკობ გოგებაშვილი „აი ია”: „ნიკო ფიროსმანიშვილი 150”; ექვთიმე თაყაიშვილი „დაბრუნება”, „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები”; ,,ფერებში ამეტყველებული განწყობა”; ბუნების სამყაროში”.

***– საინტერესოა, რომ ახლახანს ბიბლიოთეკაში დაარსდა შემოქმედ მკითხველთა კლუბი...***

– დიახ, 2013 წლის მარტში ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაარსდა შემოქმედ მკითხველთა კლუბი. რომლის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა შემოქმედ ქალბატონებთან: მხატვარ თამარ იორამაშვილთან და პოეტ თამარ ურდულაშვილთან, ასევე მოეწყო ნიკო გომელაურის გახსენება „გუშინდელი დღე იყო სიზმარი”, მოეწყო წიგნის განხილვა –„ გაბრიელ მარკესის ბიოგრაფია”; პოეზიის საღამო „სიყვარული აგვაღლებს” (მურმან ლებანიძე, ლადო ასათიანი), საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით მოეწყო –მწერლის გურამ ფანჯიკიძის შემოქმედების განხილვა, „ნუღარ დამიბერდები ჩემო ტკბილო ბებია”; „ტყის ბინადარნი”- ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მიხედვით; 14 აპრილი - „ქება და დიდება ქართულისა ენისაი”, „პაპები და შვილიშვილები”.

***– საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – განახლებული, ახლადგარემონტებული ალბათ მრავალ დამთვალიერებელს, სტუმარს მასპინძლობს...***

– როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც ცნობილია, გასული წლის აგვისტო-ოქტომბერში საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩაუტარდა კაპიტალური შეკეთება, არსებული მასალები განთავსდა ორ საექსპოზიციო დარბაზში, დიდ დარბაზში არქეოლოგიური მასალა, მცირე დარბაზში ეთნოგრაფიული მასალა. კეთილმოეწყო ეზო, დაიგო ფილაქანი, გაკეთდა საფეხბურთო და საჭიდაო მოედნები, საქანელები მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, გამოყვანილ იქნა სასმელი წყალი. ბაღში ყველა პირობაა შექმნილი ახალგაზრდობის დასავენების და სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად. მაგრამ, სავალალო მდგომარეობაშია საექსპონანტო დარბაზები. ვენტილაციის არარსებობის გამო ზიანდება ექსპონანტები, თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება საექსპოზიციო კარადები/დაკავებული აქვს დიდი ადგილი, მაგრამ მცირე ადგილია ექსპონანტების დასაწყობად, კვალიფიციურად არ არის გაკეთებული ეზოს განათება, რის შედეგად სისტემატურად იწვება ნათურები. და კიდევ... კახეთის გზატკეცილზე საჭიროა დადგეს მაჩვენებელი, სადაც მინიშნებული იქნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ადგილმდებარეობა. 6 თვის მანძილზე მუზეუმი დაათვალიერა 518 დამთვალიერებელმა. მუზეუმში საგარეჯოს მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლთან ერთად ჩატარდა კომპლექსური ღონისძიება. ხდება მუზეუმის ფონდების შევსება ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალით. მუზეუმის კვირეულთან დაკავშირებით ეთნოგრაფიის განყოფილებაში განახლდა მოწყობილი ექსპოზიცია, ამ დღესთან დაკავშირებით მხატვარმა ნინო ჯანგულაშვილმა გადმოგვცა საკუთარი ნამუშევარი. ვმუშაობთ მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მასალების დამუშავებაზე. შემოდგომაზე ვამზადებთ სამეცნიერო კონფერენციას –„საგარეჯო–50”.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს კულტურის სამინისტრო ხშირად გვაძლევს რეკომენდაციას, რომ ჩვენთან არსებულ მუზეუმებში საჭიროა გვყავდეს წარმომადგენელი, რომელიც სისტემატიურად ჩაატარებს სამეცნიერო კონფერენციებს სხვადასხვა საკითხებზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, – მიიღონ მონაწილეობა მისთვის საინტერესო თემაზე ჩატარებულ კონფერენციებში. დამერწმუნეთ აღნიშნული ღონისძიება დიდ წვლილს შეიტანს მოსწავლეთა აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან,ჩვენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თხოვნით მივმართეთ მუზეუმში მეთოდისტის საშტატო ერთეულის შესაქმნელად.

***– როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა სოფ. პატარძეულის გ. ლეონიძის სახელობის სახლ–მუზეუმში.***

– დიახ, სოფელ პატარძეულის გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმში დასაქმებულია 4 თანამშრომელი. მუზეუმს წელიწადში 1500-1600 დამთვალიერებელი ჰყავს. ამიტომაც საჭირო გახდა აქ რესტავრაციის ჩატარება მუზეუმში არსებული ყველა ავეჯისათვის, რომელსაც დაუბრუნდა პირველადი სახე და მნახველთა მოწონებას იმსახურებს.

ივნისში აქ ჩატარდა გ. ლეონიძის საიუბილეო საღამო, მონაწილეობას იღებდნენ რაიონის შემოქმედებითი ჯგუფები, მოწვეული სტუმრები მწერალთა კავშირიდან და კულტურის სამინისტროდან. ღონისძიება გაშუქდა საქართველოს სხვადასხვა ტელემაუწყებლობის მიერ. ამავე დღეს საზეიმოდ გაიხსნა გ. ლეონიძის ბიუსტი, რომელიც მუზეუმს საჩუქრად გადასცა გორის ვ. სუხიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა.

მუზეუმში ყოველწლიურად ტარდება პოეზიის საღამოები, ახლდება გამოფენები, ტარდება თემატური ღონისძიებები მაგ: გოგლა და პატარძეული, გოგლა და ფიროსმანი.

მუზეუმში მოსულ ყველა დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს დოკუმენტური ფილმი გოგლა ლეონიძეზე და მოისმინოს პოეტის ხმა.

მუზეუმი საშუალებას აძლევს საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს გამართონ ღონისძიებები, რომლებიც უკაშირდება გიორგი ლეონიძის სახელს. ამიტომ ვიწვევთ ყველას, ვისაც სურვილი ექნება აქ ღონისძიების ჩატარებაში, მაგრამ საჭიროა გზებზე დადგეს მიმანიშნებლები (დიდი ზომის), მუზემის ადგილმდებარეობის აღნიშვნით. კეთილმოეწყოს მეორე ეზოც.

***– სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?***

– კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექცია, მომავალში ჩვენი გაერთიანების შემდგომი წარმატებული საქმიანობისათვის პრიორიტეტად მიიჩნევს:

ქართული ფოლკლორის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. ამ მიზნით უნდა მოხდეს არსებული ფოლკლორული კოლექტივებისთვის ხელშეწყობა და ახალი კოლექტივების ჩამოყალიბება, უნდა მოხდეს ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მოძიება და პოპულარიზაციის მიზნით გამოფენის მოწყობა, თვითნასწავლ მხატვართა გამოფენის მოწყობა, სახალხო მთქმელთა შემოქმედებითი საღამოს მოწყობა, სახალხო თეატრის რეპერტუარის შევსება და რეალიზაცია, რაიონში არსებული საესტრადო კოლექტივებისა და შემსრულებელთა რეგისტრაცია და ფესტივალის მოწყობა.

რაიონის ტერიტორიაზე გაუქმებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების მოწესრიგების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში.

უნდა გავითვალისწინოთ მკითხველთა მზარდი გემოვნება და არსებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შევსება უნდა მოხდეს თანამედროვე გამოცემებით და არსებული ფონდები შევინარჩუნოთ და დავიცვათ.

## მათ თავი ისახელეს

უკვე მეექვსე წელია, რაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ მოცეკვავეებსა და ხელმძღვანელებს ახლო მეგობრობა აკავშირებთ თურქეთის ქალაქ ბაიბურთთან და მის მოსახლეობასთან. მათი ეს დაახლოება გამოწვეულია ამ ქალაქში ტრადიციად ქცეული აქაური აშუღის, – დედე ქორქუთის სახელობის ყოველწლიურ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში საგარეჯოელი პატარა მოცეკვავეების მონაწილეობა, რომელთაც ისე შეაყვარეს და დაამახსოვრეს აქაურ მაყურებელს თავი, რომ მათ ყოველწლიურად იწვევენ ამ ფესტივალზე, მაშინ, როცა დებულება კრძალავს ერთი და იმავე ქვეყნის ერთი და იმავე ანსამბლის განმეორებას.

ეს გამონაკლისი განმეორდა და წელსაც ივლისის დასაწყისში ანსამბლმა ბაიბურთიდან ფესტივალში მონაწილეობის მიწვევა მიიღო. ბაიბურთში მანავის საჯარო სკოლის ანსამბლ „იმედის“ მოცეკვავეები გაემგზავრნენ.

– მანავის საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ უკვე მეოთხე წელია რაც არსებობს, – გვიყვება ფესტივალიდან დაბრუნების შემდეგ მისი ***ხელმძღვანელი*** ქ-ნი **თინათინ მეზვრიშვილი**. მასში გაერთიანებული არიან ამ სკოლის ბავშვები. მათგან ყველაზე უფროსი

# ისევ ბაიბურთში, ამჯერად მანავის „იმედით“

15 წლის, უმცროსი კი 4 წლისაა. ამ სამი წლის მანძილზე მათ არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა – იქნება ეს ბათუმის „შავი ზღვის ჰარმონიის“, საჩხერის რესპუბლიკური ფესტივალი თუ მცხეთაში სვეტიცხოვლობას გამართული სამთავრობო კონცერტი. ერთი სიტყვით, პატარა ასაკის მიუხედავად, მათ უკვე საკმაო გამოცდილება აქვთ ამ ხელოვნებაში და ბევრი მათგანი მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლში (დიდების) გამოდის. ამის გათვალისწინებით, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ საკმაოდ გემოვნებიანი თურქი მაყურებლის წინაშე, რომლებიც განებივრებული არიან ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნების ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლებით, თავს არ შევირცხვენდით და მანაველმა პატარებმა ეს იმედი საუკეთესოდ გაგვიმართლეს.

დავიწყოთ ფესტივალის გახსნით, რომელზეც აქაური მაყურებლის წინაშე თავიანთი ქვეყნების ფოლკლორით წარდგნენ ინდონეზიის, მაკედონიის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მასპინძელი თურქეთის 4 და სხვა ფოლკლორული ანსამბლები. აქ, საზეიმო მსვლელობისას, იმდენი ტაში და ოვაციები არავის რგებია წილად, რამდენიც ჩვენს პატარებს, რომელთაც საქართველოს წითელი ხუთჯვრიანი დროშით ხელში წინ მიუძღოდა ქართულჩოხიანი ოთხი წლის თევდორე უცუნაშვილი.

რაც შეეხება პატარა „იმედის“ ხელოვნებას, სცენაზე ყოველი მათი გამოჩენა იყო დიდი ზეიმი, მაყურებელი ფეხზე ადგომითა და ტაშით ეგებებოდა მათ, როგორც ფესტივალის ყველაზე პატარა და ვირტუოზ შემსრულებლებს. ფესტივალზე ჩვენ თურქების წინაშე წარვდექით ქართულში დამკვიდრებული თითქმის ყველა ცეკვით, რომლებიც წინა წლებშიც ვუჩვენეთ, მაგრამ ამაზე პრეტენზია არავის გამოუთქვამს. განსაკუთრებით მოეწონათ მანაველი პატარების მიერ შესრულებული „აჭარული“ და „მთიულური“, რომლებსაც ანსამბლის წევრები ზურგზე ჯვარგამოსახული ფორმებით ასრულებდნენ. მიუხედავად ამ ატრიბუტისა, რაც მუსულმანებს მაინცდამაინც გულზე არ ხვდებათ, დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

***– რამდენ ხანს გაგრძელდა ბაიბურთის ფესტივალი და ამ ქალაქის გარდა თუ გქონდათ კონცერტები თურქეთის სხვა ქალაქებში?***

– ქალაქებში არა, მაგრამ ბაიბურთი მუნიციპალიტეტის ცენტრია და კონცერტები მის ახლომდებარე თითქმის ყველა სოფელში გვქონდა.

***– მანაველი პატარებიდან განსაკუთრებით ვინ მოაწონა თავი იქაურ მაყურებელს?***

– ფესტივალზე ყველა პატარა მანაველის გამოსვლა იყო სენსაცია თურქი მაყურებლისათვის. გოგონები: თათია ბუზიაშვილი, მარიამ უცუნაშვილი, მარიამ ახალკაციშვილი, ბიჭები: ვალერი მაღალაშვილი, ნუკრი და ლაშა უცუნაშვილები, გიორგი დალაქიშვილი, დავით ბორაშვილი, საბა საბაშვილი, რობიზონ ფოცხვერაშვილი, რომელთაც ფესტივალის ორგანიზატორებისგან გადაეცათ დიპლომები და მადლობის წერილები. ანსამბლის ხელმძღვანელებს კი ფესტივალის ყველაზე საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლისა და ფესტივალის ერთგულებისათვის – დიპლომები.

***– იმედია „იმედი“ გაისადაც იქნება დაპატიჟებული ამ ფესტივალზე.***

– კი, რა თქმა უნდა. წელს ბაიბურთში უკვე მეცხრამეტედ ჩატარდა დედე ქორქუთის სახელობის ფესტივალი. გაისად კი უკვე საიუბილეო – XX ფესტივალია. ფესტივალი იმართება იუნესკოს ეგიდით და საპატიო სტუმრებად ჩვენც ვართ მიწვეული. თუ მშვიდობა იქნება, ამ ფესტივალზე ჩვენ აუცილებლად წავალთ. ჯერჯერობით არ გადაგვიწყვეტია – „იმედის“ დიდი თუ პატარა მოცეკვავეების შემადგენლობით, მაგრამ წასვლით კი წავალთ.

*გივი დაბახიშვილი*

# „ლიტერატურული მარათონი“ და მისი გამარჯვებულნი



„ლიტერატურული მარათონის“ მონაწილეთათვის საიუბილეო წელი აღმოჩნდა მიმდინარე წლის „ლიტერატურული მარათონი“. საგარეჯოელი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი დიდი ინტერესით ელოდა მის გამოცხადებას. საინტერესოა ის, რომ თუ წინა წლებში ამ კონკურსში 26-35 ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას, წელს უკვე 60-მა ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი მასში მონაწილეობის. შედეგებიც შეჯამდა და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. სანამ გამარჯვებულებს გაგაცნობდეთ, ძვირფასო მკითხველო, ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მთავარი სპეციალისტი ნაზი არჩუაძე*** გაგაცნობთ ამ კონკურსის პირობებს:

– ლიტერატურული მარათონი იმართება 2007 წლიდან და წელს უკვე მეხუთედ ჩატარდა.

პროექტი მიზნად ისახავს შემოქმედი, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას და წახალისებას.

პროექტი ახალგაზრდებში ყოველ წელს მეტი და მეტი პოპულარობით სარგებლობს. ამას მოწმობს წლევანდელ მონაწილეთა რაოდენობა. წელს მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა ახალგაზრდამ. მათ შორის იყვნენ 13-14 წლის მონაწილეები, რომლებმაც კონკურსგარეშე მიიღეს მონაწილეობა, რადგან დებულება 15 წლიდან ითვალისწინებს მონაწილეობას. 4 საათის განმავლობაში ახალგაზრდები მუშაობენ ნაწარმოებზე. მათ უნდა განავრცონ დასაწყისი ფრაზა, რომელიც შეირჩევა მარათონის დაწყების წინ, მათ თვალწინ. დასაწყისის შერჩევა ხდება შემდეგნაირად: უამრავი დასაწყისიდან ერთ-ერთი მონაწილე ამოიღებს ორ მათგანს. მონაწილეებმა ამ ორი დასაწყისიდან უნდა დაწერონ ერთ-ერთი მათთვის სასურველი. მონაწილეებს ევალებათ, ასევე, ნაწარმოებში გამოიყენონ 10 იგივე პრინციპით შერჩეული სიტყვა. ისინი არ არიან შეზღუდულები ჟანრში, მხოლოდ და მხოლოდ უნდა იყოს პროზაული ნაწარმოები. მონაწილეებს ენიჭებათ ინდივიდუალური კოდი, რომელიც ინახება დახურულ კონვერტში დაჯილდოების დღემდე. კოდი და ნაწარმოების ავტორის ვინაობა უცნობია ჟიურის წევრებისათვის. ასევე ჟიურის წევრების ვინაობა უცნობია მონაწილეებისათვის.

„ლიტერატურული მარათონის“ გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. პირველი ადგილი დაისაკუთრა საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლემ მაგდა საგინაშვილმა, მეორე ადგილი – ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლემ თათია გრატიაშვილმა, სამი მესამე ადგილი დაიკავეს საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლემ ნანუკა ოტიაშვილმა, ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ ოკინაშვილმა, ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლემ ანა მირიანაშვილმა, აღინიშნა კონკურსგარეშე ყველაზე პატარა მონაწილის „საინტერესო ნაწარმოებისათვის“ პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლის ქეთევან სიბოშვილის ნამუშევარი.

***P.S. ნამუშევრებს შემოგთავაზებთ მომავალ ნომერში.***

# სურათი, რომელმაც ჩვენი ფეხბურთის წარსული გაგვახსენა



დასასრული. დასაწყისი იხილეთ „გარეჯის მაცნე № 13-14.

***– თვითონ თქვენ როგორ მოხვდით „გარეჯში“?***

– ფეხბურთს მე ადრეული წლებიდანვე ვთამაშობდი. იმ წლებში საგარეჯოში ფეხბურთის სამი გუნდი იყო – „გარეჯის“ დიდების და პატარების და სპორტული სკოლის გუნდები. თავიდან ვარჯიში და თამაში „გარეჯის“ პატარების გუნდში დავიწყე. 1966 წლიდან, საგარეჯოს I საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში გადამიყვანეს, სადაც 1971 წლამდე ვითამაშე. „გარეჯთან“ კავშირი და თამაში არც სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დროს გამიწყვეტია. ჯარში გამიწვიეს 1969 წელს და ვმსახურობდი უჯარმის სამხედრო ნაწილში, სადაც ჩამოვაყალიბე ფეხბურთის გუნდი და მონაწილეობას ვღებულობდით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საჯარისო ნაწილების შეჯიბრებებში. შაბათ-კვირას სამხედრო ნაწილის უფროსობა მათავისუფლებდა და მონაწილეობას ვიღებდი „გარეჯის“ თამაშებში, რასაც ხშირად ჩემი სამხედრო ნაწილის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ გარდა „გარეჯის“ მატჩებს უამრავი ხალხი ესწრებოდა საგარეჯოს სოფლებიდან, საწარმო-ორგანიზაციებიდან. ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ საგარეჯოს რაიკომის I მდივანი ოთარ საბაშვილი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე არჩილ დავითაშვილი. საერთოდ იმ პერიოდში ხალხში იმხელა სიყვარული იყო ჩვენი ფეხბურთელების მიმართ, რომ ერთხელ, როცა გასვლით მატჩში მსაჯმა გადახრის გამო არასწორი პენალტი დაგვინიშნა და თამაში წავაგეთ, ჩვენი გუნდის გაბრაზებული და გულმოსული მძღოლი „ატკაზა“ – ალექსი ტიგინაშვილი მსაჯს ავტობუსით დაედევნა სტადიონზე და ძლივს გაასწრო მოედნიდან. ამის გამო „ატკაზა“ იქაურმა მილიციამ დააკავა, მაგრამ ოთარ საბაშვილის საქმეში ჩარევის შემდეგ ყველა მშვიდობიანად გამოგვიშვეს.

***– „გარეჯიდან“ თქვენი წასვლის მიზეზი რა გახდა?***

– 1971 წლიდან სასწავლებლად წავედი ბაქოს ჯერ კომკავშირის სკოლაში, ხოლო შემდეგ პარტსკოლაში, რომელიც დავამთავრე 1977 წელს და დავინიშნე მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის მდივნად. ამის გამო სავარჯიშოდ და სათამაშოდ დრო აღარ მრჩებოდა. სამაგიეროდ „გარეჯის“ მოთამაშესთან, მანაველ სულიკო სტეფანიშვილთან ერთად მეურნეობის ბაზაზე ჩამოვაყალიბეთ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც მოკლე დროში იმხელა წარმატებას მიაღწია, რომ გაიმარჯვა კახეთის ზონის სოფლების პირველობაზე და გავიყვანეთ საქართველოს პირველობაზე, სადაც მან I ადგილი დაიკავა, მაგრამ „აწყურის“ საჩივრის შედეგად გამარჯვება მათ ჩაეთვალათ. ამას გარდა, ფეხბურთის გუნდი ჩამოყალიბებული გვქონდა ბაქოს პარტიულ სკოლაში, რომელშიც ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები ვთამაშობდით. მონაწილეობას ვიღებდით ბაქოს და აზერბაიჯანის სხვადასხვა შეჯიბრებებში და ჩვენი წარმატებების გამო დიდი პატივითაც ვსარგებლობდით ქალაქში.

***– ბ-ნო ნუგზარ, ზემოთჩამოთვლილ ფეხბურთელების გარდა, კიდევ ვის გაიხსენებდით თქვენი ფეხბურთელობის დროინდელი „გარეჯელებიდან“?***

– ესენი არიან მეკარე გუგული პავლიაშვილი, დაცვაში ოთარ სულიკაშვილი (ღოკის ბიჭი), გივი ტაბატაძე, თავდასხმაში – ნიკა ჯაბადარი, №9 და ზაურ (ყაჭალა) ბაღდასაროვი, გურამ წიკლაური, კაკო მეკოკიშვილი, როინ მეკალუაშვილი, ჩვენი „ბარადოკა“ ბიჭიკო სულიკაშვილი, რამინ მარტაშვილი, გივი საბაშვილი და სხვები, რომლებიც სხვადასხვა წლებში თამაშობდნენ ჩვენს გუნდში (სხვადასხვა შემადგენლობაში) და საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე „გარეჯის“ ისტორიასა და ტრადიციებს.

***– როგორც გარეჯული ფებურთის ცხოვრებაში ჩახედული ადამიანები გადმოგვცემენ, საგარეჯოში იმართებოდა ამხანაგური შეხვედრები საქართველოს იმ დროის სხვადასხვა წარმატებულ ფეხბურთის გუნდებთან. ერთხელ კი ტაშკენტის „პახტაკორიც“ სწვევია ჩვენს სტადიონს. რა შემორჩა თქვენს მეხსიერებას ამის შესახებ და თქვენ თუ იყავით ამ ისტორიული მატჩის მონაწილე?***

– ეს მატჩი ჩვენი ჩემპიონად გახდომის მომდევნო ხანს ჩატარდა, ზუსტად არ მახსოვს, იმავე 1967 თუ მომდევნო 1968 წელს. საქმე იმაში იყო, რომ „პახტაკორი“ ჩამოსული იყო თბილისში „დინამოსთან“ ამხანაგური მატჩის გასამართად, მაგრამ რადგან იმ დღეს „დინამოს“ სხვა გუნდთან ჰქონდა კალენდარული მატჩი, გადაწყვიტეს რომ „პახტაკორი“ ჩვენთან ჩამოეყვანათ ამხანაგური შეხვედრის გასამართად. ეს გუნდი მაშინ საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე იყო თვით „დინამოსთვისაც“ კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენს გუნდზე. „პახტაკორს“ საკმაოდ ძლიერი თავდასხმა ჰყავდა, განსაკუთრებით მეცხრე ნომერი ასპარუხოვი, ამიტომ „გარეჯის“ დაცვის გასაძლიერებლად „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობიდან ჩვენთან გადმოიყვანეს ფეხბურთელები. ტაშკენტელთა მეცხრე ნომრის მეურვეობა კი პირადად ფირუზ კანთელაძეს დაევალა, რომლის სიმაღლე 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრს აღემატებოდა. აქედან გამომდინარე, მე ამ მატჩში არავინ არ მათამაშებდა. რაც შეეხება თავდასხმას, აქ შერეული კომბინაცია იყო – „გარეჯელებიც“ დატოვეს და თბილისელებიც შეურიეს. მატჩი „პახტაკორთან“ წაგებით დამთავრდა, თუმცა საკმაოდ დაძაბული, საინტერესო და დასამახსოვრებელი გამოდგა მოთამაშეებისა და მაყურებლისათვის.

***– ალბათ კურიოზებიც ბევრი შეგხვედრიათ თქვენი ფეხბურთელობის დროს?***

– ატკაზას ავტობუსით გამოდევნების გარდა, კურიოზების მეტი რა გვქონდა „გარეჯში“. ახლა ერთს გავიხსენებ. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ჩვენმა თავდამსხმელმა ჩვენი კარისკენ გაგზავნილი ბურთი მოგერიების ნაცვლად საკუთარ კარში „დევიატკაში“ ჩაჭრა. ამ მატჩის რეპორტაჟი ცხონებულ ჯორჯი მამისაშვილს მიჰყავდა და იმდენად იყო როლებში შეჭრილი, რომ თავისი ომახიანი ბარიტონით მთელი სტადიონის გასაგონად საზეიმოდ გამოაცხადა: „მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა „ტიღამ“. ადვილი წარმოსადგენია, რა ამბავიც დატრიალდებოდა ტრიბუნაზე.

*ესაუბრა გივი დაბახიშვილი*

## რას ფიქრობენ სტუდენტები?!

# ბალინგი

ტერმინი "ბალინგი" ნიშნავს ფიზიკურ და/ან ფსიქოლოგიურ ტერორს, რომელიც ხორციელდება ბავშვის მიმართ თანაკლასელთა ან სხვა ბავშვების ჯგუფის მიერ. ის, ვინც მიმართავს ბალინგს, მიზნად ისახავს მსხვერპლის დაშინებასა და დამორჩილებას.

ეს მოვლენა საკმაოდ ხშირია სკოლებში და გვხვდება როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში. უფრო ხშირად ბალინგის მსხვერპლი არიან უმცროსკლასელები. აგრესიულ ბავშვებს რბილად "ჩხუბისთავებს" უწოდებენ და ავიწყდებათ, რომ შეიძლება მათ ზოგჯერ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ თავიანთი მსხვერპლს - დააზიანონ მათი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა. ბავშვი, რომელზეც განხორციელდა ძალადობა, შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ განიკურნოს ფიზიკური დაზიანებებისაგან, განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვას, თავს დამცირებულად, დათრგუნულად გრძნობდეს, დაუქვეითდეს თვითშეფასება. შემდეგ ადგილი აქვს გაკვეთილების გახშირებულ გაცდენებსა და დაგვიანებებს, უარესდება ბავშვის აკადემიური მოსწრება. ასეთი ბავშვები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის.

ხოლო რაც შეეხება მოძალადეს - მეცნიერთა აზრით, ბალინგის ინიციატორი ბავშვები თავიანთი აგრესიულობის დემონსტრირებას მოზრდილობის ასაკშიც აგრძელებენ და ხშირად ცხოვრების კრიმინალურ გზას ირჩევენ.

ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფსიქიკური ტრავმა შეიძლება იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშუალო მსხვერპლი არ არიან, მაგრამ არიან ტერორის ფაქტის შემსწრენი. "დღეს ეს სკოლაში მას დაემართა, ხომ შეიძლება, რომ ხვალ მე შემემთხვეს? ესე იგი, სკოლა ის ადგილია, სადაც თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობ" – ასეთია "დამკვირვებელ-ბავშვთა " დასკვნა. ასეთ ბავშვებს ეშინიათ, თვითონაც არ გახდნენ აგრესორის მსხვერპლი.

როგორც ჩანს, ბალინგი საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის როგორც მსხვერპლს, ასევე თვითონ აგრესორს და ამ ფაქტის შემსწრე მოზარდებს. შესაბამისად, აუცილებელია მის წინააღმდეგ რაიმე ზომების მიღება. დავიწყოთ პირველი ნაბიჯით, ესაა მისი შემჩნევა - საჭიროა მოძალადისა და მსხვერპლის ერთმანეთისგან გარჩევა. ფსიქოლოგები გამოყოფენ მსხვერპლისა და აგრესორის ხასიათის ზოგიერთ ტიპიურ თვისებასა და ქცევის სტილს.

ბავშვი-მსხვერპლი ცდილობს იყოს თანატოლებთან შედარებით უფრო შეუმჩნეველი, ის შედარებით პატარაცაა და სუსტი. დაბრკოლების გაჩენის შემთხვევაში ის მაშინვე ფრთხება, ტირის, საცოდავად და უბედურად გამოიყურება. ბავშვი-მსხვერპლი უმეტეს დროს კლასში ატარებს, მათ შორის შესვენებებსაც, გაურბის ბავშვების ხმაურიან თავყრილობებს. ასეთ ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს სამედიცინო ჩივილებიც: მოუსვენარი ძილი, თავის ან მუცლის ტკივილი, უმადობა, ენურეზი.

ბავშვი-მსხვერპლი შეიძლება იყოს სხვებისაგან მკვეთრად გამორჩეული თვისებების მქონე, მაგალითად, სხვებზე ბევრად დაბალი ან მაღალი; მსუქანი ან გამხდარი; ღარიბი ან მდიდარი; წყნარი, ჭკვიანი.

ბავშვი-აგრესორი მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, საკუთარ და-ძმას. პიროვნებათშორის ურთიერთობებში, თამაშებში აღიარებს მხოლოდ ძალას, სისასტიკეს და ამის დემონსტრირებასაც ახდენს. ნებისმიერი კონფლიქტის გადასაჭრელად უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს. როგორც წესი, ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. ზოგჯერ ისინი ჩაკეტილები და ნაკლებკონტაქტურები ხდებიან, მაგრამ ამასთან პერიოდულად ავლენენ არამოტივირებულ

*დასასრული მე-7 გვერდზე*

## ზაფხული და ახალგაზრდები

# ათი დაუვიწყარი დღე ბაკურიანში

ყველასათვის ცნობილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროგრამის შესახებ, რომელსაც "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" ჰქვია. ეს პროგრამა ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერებას, მის პოპულიზაციას, მოსწავლეთა ინტეგრაციას და სხვა. ამ მიმართულებით უკვე ოთხი წელია ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, ტრენინგები, კონფერენციები. ამ პროგრამის ფარგლებში 15- დან 25 ივლისამდე- იორმუღალნოს, ლამბალოს, და დუზაგრამის მოსწავლეებმა ათი დღე ბაკურიანში გაატარეს. თითოეული სკოლიდან შერჩეული იყო 5 მოსწავლე და ერთი პროგრამის მონაწილე მასწავლებელი. იორმუღანლოს საჯარო სკოლიდან მოსწავლეებს უძღვებოდა მასწავლებელი ხათუნა ჭეშურაშვილი, ლამბალოს სკოლიდან რუსუდან დუჩიძე, ხოლო დუზაგრამიდან ლელა ჯინჭარაძე. პირველ ეტაპზე დავწერეთ პროექტი და გადავგზავნეთ განათლების სამინისტროში. სამინისტრომ დააფინანსა 15 მოსწავლე და 3 მასწავლებელი საგარეჯოდან. ასევე, ქვემო ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, სულ 90 მოსწავლე და 18 მასწავლებელი პირველ ეტაპზე.

ბაკურიანში ბავშვებისათვის იყო მეტად დატვირთული დღეები. ყოველი დღე იწყებოდა ხალისით და მთავრდებოდა საინტერესოდ. პირველივე დღეს ბავშვები გაერთიანდნენ სხვადასხვა წრეებში, როგორიცაა სპორტის, ხატვის, ცეკვის, მხატვრული კითხვის, სიმღერის, ხელმარჯვეთა. წრეებში გაერთიანება იყო სურვილით და მასში მოხვდნენ სხვადასხვა რეგიონის ბავშვები, რომელმაც ხელი შეუწყო მათ უფრო მეტად დაახლოებას, ყოველდღიურად ტარდებოდა ჯგუფური მუშაობა საინტერესო თემებზე, რომელსაც თავად ირჩევდნენ ბავშვები. ჩატარდა სპორტული ღონისძიება მხიარული სტარტები, რომელშიც მოსწავლეებმა ძალიან იხალისეს. გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი „ვეფხვები". მეტად საინტერესო იყო ინტელექტუალური ვიქტორინა, რომელშიც პირველ ადგილზე გავიდა იორმუღანლოს საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ინთიკამ გუსეინოვი, მეორეზე დუზაგრამის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე როვლან კალანდაროვი, ხოლო მესამე ადგილი ჯავახეთის ერთ-ერთი სომხურენოვანი სკოლის მოსწავლემ დაიკავა.

ერთ დღეს მოეწყო ექსკურსია ბორჯომში. მოსწავლეებმა ბორჯომის ხეობა ბაკურიანიდან პატარა „გუგული" მატარებლით გაიარეს. აღტაცებას ვერ მალავდნენ ბუნების სურათების ხილვით, იღებდნენ ფოტოებს. ბორჯომის პარკმა კი მთლად დაატყვევა ბავშვები. ბევრი ისეირნეს, გაერთნენ კარუსელებზე, მიირთვეს ბორჯომის წყალი.

ყველაზე საინტერესო იყო დასკვნითი ღონისძიება, რომელიც წამოსვლის წინა საღამოს გაიმართა. ლამაზად გაფორმებულ დარბაზში გამოიფინა მათივე ხელით გაკეთებული ნამუშევრები. ერთმანეთს ცვლიდა ქართული და აჭარული ცეკვები, სიმღერები და ლექსები, რომელიც იმ 10 დღეში ისწავლეს ბავშვებმა.

ყველაზე მძიმე იყო გამოთხოვების დღე. უჭირდათ ბავშვებს ერთმანეთთან დამშვიდობება, ცრემლიანი თვალებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, იცოდნენ, რომ მალე მოენატრებოდათ ბაკურიანში გატარებული დღეები. გთავაზობთ ლამბალოს საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის ელვინ საფაროვის შთაბეჭდილებებს: „მე 10 დღე გავატარე ბაკურიანში ჩემს მეგობრებთან ერთად. ეს დღეები იყო ძალიან მაგარი, საინტერესო და მხიარული. გავიცანი ბევრი მეგობარი, ჩავატარეთ საინტერესო და მხიარული გაკვეთილები. ყველაფრისათვის ვუხდი დიდ მადლობას მაგათ, ვინც ეს პროექტი მოაწყო და განახორციელა. დიდი მადლობა".

ჩვენ, მასწავლებლებიც უზომოდ კმაყოფილნი ვართ და ვუხდით დიდი მადლობას ჩვენი პროგრამის კოორდინატორს მაკო ჭილაშვილს, რომელიც მუდამ ჩვენთანაა, ყველანაირად გვიწევს დახმარებას და ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობს. მადლობა მას ამ ლამაზი დღეებისათვის.

*რუსუდან დუჩიძე,*
***ლამბალოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი***



## მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები ანაკლიის „საზაფხულო სკოლაში"

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ კარგი საჩუქარი გაუკეთა ქვეყნის საჯარო სკოლების სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლეებს. მათთვის ანაკლიაში გაიხსნა საზაფხულო დასასვენებელი 10 დღიანი ბანაკები. კვებასა და დასვენებასთან ერთად აქ მოსწავლე-დამსვენებლებისათვის ტარდება კულტურულ-შემეცნებითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და სხვა ღონისძიებები, რაც მთლიანად სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული.

როგორც ჩვენთან საუბარში საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა მანანა ცუცქირიძემ აღნიშნა, აღნიშნულ პროექტში მუნიციპალიტეტის 26-ვე საჯარო სკოლა იყო ჩართული, საიდანაც ლოტოტრონის პრინციპით შეირჩა დასასვენებელ ბანაკში გასაგზავნი თითო მოსწავლე.

მოსწავლეთა პირველი ნაკადი ანაკლიაში 29 ივლისს გაემგზავრა, რომლებიც 10 დღის შემდეგ II ნაკადმა ჩაანაცვლა.

*გივი დაბახიშვილი*

# ბალინგი

**დასასრული**

რისხვას.

რა უნდა გავაკეთოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ბალინგის უარყოფითი შედეგები?

უნდა დავეხმაროთ ბავშვს თავდაჯერებულობის გამომუშავებაში - წავახალისოთ ბავშვის ნებისმიერი კლასგარეშე აქტივობა, მაგალითად, სპორტით, მუსიკით გატაცება, თეატრალურ წრეებში მონაწილეობა და სხვა საქმიანობები, რომლებიც მას მოსწონს. დადგენილია, რომ თავდაჯერებული ბავშვები იშვიათად იქცევიან თანატოლთა აგრესიის ობიექტებად. უნდა ვასწავლოთ ბავშვს საკუთარ თავში დარწმუნებულობის დემონსტრირება. ვასწავლოთ ბავშვს სხეულის ენა. თანამოსაუბრისათვის თვალებში ცქერა, გამართული დგომა, მაღლა აწეული თავი, მოშვებული ხელები და მტკიცე ხმა – ძალზე ეფექტური იარაღია ბავშვი-აგრესორის წინააღმდეგ. კონფლიქტურ სიტუაციაში მოხვედრისას ბავშვმა თვალები არ უნდა დახაროს ან მზერა აარიდოს, ყურადღება არ უნდა მიაქციოს აგრესორის შესაძლო დაცინვებს და უსიტყვოდ, ღირსეულად წავიდეს.

დადგენილია, რომ ბავშვები, რომლებიც განმარტოებას ამჯობინებენ, უფრო ხშირად ხდებიან აგრესიის მსხვერპლი. ამიტომ ბავშვის მიერ სხვა ბავშვებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას უნდა შევუწყოთ ხელი. მეგობრული ურთიერთობები ამაღლებს საკუთარი ღირსების გრძნობას, საკუთარ თავსა და ქცევებში დარწმუნებულობას.

აცნობეთ სკოლის ხელმძღვანელობას თქვენი შეშფოთება ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ამ ქმედებებს ფსიქოლოგები განიხილავენ, როგორც უკიდურესს, მაგრამ ძალზე ეფექტურს. სპეციალისტთა მტკიცებით, მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვნად ამცირებს ბალინგის ალბათობას ბავშვის სკოლაში ყოფნის პერიოდში.

*მარიამ ღრეული,*
***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის მიმართულება, მესამე კურსი***

## სიახლე

# საარსებო შემწეობის ოდენობა გაიზარდა

„სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №45 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ცვლილებები შევიდა სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშების შესახებ, კონკრეტულად, საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისათვის არის 60 ლარი, ორ და მეტსულიანი ოჯახებისათვის კი ყოველ მეორე და მომდევნო თითოეულ წევრზე ოჯახის უხუცესი წევრის წილს (60ლარი) ემატება 48 ლარი.

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საარსებო შემწეობასთან ერთად ოჯახის წევრს შეუძლია მიიღოს სახელმწიფო პენსია (საპენსიო პაკეტი), სახელმწიფო კომპენსაცია, სოციალური პაკეტი და სხვა სოციალური დახმარება, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2013 წლის 1 ივლისიდან.

## ხსოვნა

### დათო გულაღაშვილი



დათო, დედა მოგიკვდეს, ჩვენო ძვირფასო შვილო, ერთი გაუსაძლისი წელი შეგვისრულდა უერთმანეთოდ. 16 აგვისტოს შეწყდა, შვილო, შენი ლამაზი სიცოცხლე. ადრე, ძალიან ადრე მიილია შენთვის ნაბოძები წუთისოფელი, რომელმაც მხოლოდ 21 წლის სიცოცხლე გაკმარა.

სიკეთით სავსე გული გქონდა, ყველაფერში გამორჩეული ბუნების იყავი, ამიტომაც უფალმა მარადიული სიჭაბუკე გარგუნა, დათო, შვილო. წყალში რომ შედიოდი, შვილო, რატომ არ იფიქრე ჩვენზე, რომ უბედური მშობლები დავრჩებოდით, ეს რა მოურჩენელი ტკივილი გვარგუნე, შვილო. დრო მკურნალიაო, მაგრამ შენს წილ დარდს არავინ შეგვიცვლის. ჩვენი ლოცვა ფიანდაზად დაეფინოს შენს სულს, ხოლო ჩვენმა ცრემლებმა სანთელივით გაგინათოს სამოთხისაკენ მიმავალი გზა. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი, ნათელი სული.

*შენი უბედური მშობლები*

### დათო ამბარდნიშვილის მონატრება



მეექვსედ მოვიდა შენი და ჩემი უბედურების დღე, ჩემო საყვარელო შვილო, დათო!

დრო მკურნალია?! დედისთვის კი არა – ეს დრო ლოდინით გაწელილია... და უსაშველოდ მოკლეც. შენი ხმა, შენი დედის დაძახება, შენი კიბეებზე ამორბენა – მალე დაგენახა შენი დედა. ისევ მესმის და მელანდები, შვილო. როგორ ვძლებ შვილო, უშენოდ – მიკვირს ჩემი გამძლეობის. მეგლიჯება გულის ის ნაწილი, რომელიც შენ გეკუთვნის. შენი ირაკლი დიდი ბიჭია, შვილო, 11 წლისაა; ჩემთვის ძალიან ძნელია ის, რომ მე ვუყურებ მის გაზრდას და შენ ვერა, ვერ ხარობ იმის გაზრდით. იკაკოს თვალებში ხან ისეთი ნაღველი აქვს, ლამის გავგიჟდე. შეპარვით მეკითხება რაღაცას შენს შესახებ. ნელა ჩაიცინებს, თუ ვინმე შენზე სახუმარო ამბავს მოუყვება. ასე გაიარა ექვსმა წელმა ჩემო მოუშუშებელო დარდო და ტკივილო, ჩემო ალალგულო ბიჭო, მოსიარულე სიკეთევ. მეგობრებისთვის თავგადაკლულო, კაცურო კაცო. შენს შესანდობარში რას არ ამბობენ, შვილო, შენი მეგობრები, სიტყვები არ არის საკმარისიო, ასე გახასიათებენ, შვილო.

არავინ გივიწყებს შვილო, დათო! შენს საფლავს შენი ამხანაგები ხშირად აკითხავენ, უვლიან და ალამაზებენ. შენი თავზარდამცემი წასვლა ყველასათვის დიდი ტკივილია. შენი გულდათუთქული მამა უცებ წაიყვანე, შვილო, დამტოვეთ ბედის ანაბარა. შენი ირაკლი მაცოცხლებს, თორემ მამაშენი ვერ მაჯობებდა...

ნათელში იყავით ჩემო შვილო დათო, შენცა და მამაშენიც. ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია – ვლოცულობთ თქვენს საფლავთან და შენი ძმა, ძმისშვილები, მეგობრები გინთებენ სანთლებს. შენი ძმისშვილი ნანუკა გიწერს ლექსებს. როგორც ამბობენ, ღმერთის რჩეული ხარ, შვილო, როცა ღმერთმა თავისთან წაგიყვანა, მაშინ წითელი პარასკევი თენდებოდა.

მე კიდევ შევავედრებ უფალს შენს ლამაზ სულს, რომ დაგიმკვიდროს ადგილი ცათა სასუფეველში.

*დედაშენი*

### ბელა კევლიშვილის ტკივილიანი გახსენება

დიდი ტკივილით და მონატრებით გილოცავთ დაბადების 50 წლისთავს. ძალიან გვაკლიხარ, ხშირად გიხსენებთ. გვენატრებით. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული სასუფეველი. ნათელში იყავი, უფალი ფარავდეს შენს სულს. გვიყვარხარ.

*თამაზ ექვთიმიშვილის ოჯახი*

# მილოცვა

პირველი შვილის **ტატოს** შეძენას ვულოცავთ **ქეთი მეხაშიშვილსა** და **გიორგი როსტომაშვილს**, პირველი შვილიშვილის შეძენას ვულოცავთ მათ მშობლებს ზაირა მამარდაშვილსა და გოგი (ბენო) მეხაშიშვილს, მარინა ილაურსა და ტარიელ როსტომაშვილს. გაზრდილიყოს საქართველოს დიდი გულშემატკივარი და მეჭირნახულე, ნამდვილი ქართველი მართლმადიდებელი ვაჟკაცი. ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისი დაბადება საქართველოსათვის.

*თინა, თამარი, ნინო შალვაშვილები,*
*ზურა აგულაშვილი,*
*გივი დაბახიშვილი,*
*ნანა ქურდოვანიძე ოჯახებით*



დაბადების დღეს ვულოცავთ **ნანა ქურდოვანიძეს**, ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს და ბედნიერ ცხოვრებას თავის მარიამთან ერთად.

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები*



დაბადების დღეს ვულოცავთ ახლო წარსულში საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს ჩემპიონს ქართულ ჭიდაობაში, საგარეჯოელი სპორტსმენების საქმით და სიტყვით გვერდში მდგომს, გარეჯელ მოჭიდავეთა აღმზრდელსა და დამკვალიანებელს **თამაზ გეგეშიძეს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მის მიერ უშურველად გაცემული სიკეთისა და ქველმოქმედების თავისი ოჯახისათვის უფლისაგან ისევ სიკეთედ და სიხარულად მიბრუნებას.

გვეამაყები, კვლავაც გვეიმედება შენი ენთუზიაზმი, დიდი სიყვარული და გულშემატკივრობა გარეჯელი მოჭიდავეების, სპორტსმენების მიმართ. დიდხანს გაგვყოლოდეს მოყვასის შენეული დიდი სიყვარული, ხალისი და შემართება.

*აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები*

## გვერდში დავუდგეთ

# შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ასოციაცია დახმარებას ითხოვს

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კიდევ ერთ სასიკეთო საქმეს დაედო სათავე – დაფუძნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაიონული ასოციაცია, რომლის ინიციატორადაც გიორგიწმინდელი ინვალიდი სულიკო ჯამალაშვილი და მისი რამდენიმე თანამოაზრეა. მათ კეთილშობილური და შორს გამიზნული მიზნები აქვთ – შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები ჩააბან შრომაში, რათა მათ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად იგრძნონ თავი. არადა, როგორც თავად სულიკო ჯამალაშვილმა აღნიშნა, ასეთი ადამიანების რიცხვი ჩვენს მუნიციპალიტეტში არც ისე ცოტაა და სამი ათასს აჭარბებს.

აპრილში დაფუძნებულმა ასოციაციამ სადღეისოდ მხოლოდ რეგისტრაცია მოახერხა და შრომითი საქმიანობის წამოსაწყებად საჭიროებს საწყის კაპიტალსა და მხარდაჭერას, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან. ამ საკითხებზე სასაუბროდ ორგანიზაციის წევრები და მისი თავმჯდომარე სულიკო ჯამალაშვილი 30 ივლისს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ილია ჭიაურელს. მასთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა ჯავახიშვილი, კოალიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ემზარ გორგილაძე და ამ ორგანიზაციის საარჩევნო ადმინისტრაციის უფროსი შალვა კრიხელი, რომელთაც ასოციაციის თავმჯდომარემ, დამსწრე ინვალიდებმა და მათმა ახლობლებმა გააცნეს ის პირობები, რასაც სადღეისოდ აღნიშნული ადამიანები აწყდებიან სამედიცინო მომსახურების თუ სოციალურ სფეროში. ასევე დააყენეს საკითხი მუნიციპალიტეტში სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნის შესახებ.

შეხვედრის მთავარი ყურადღება მაინც შრომითი საქმიანობის წამოწყებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს დაეთმო. ს. ჯამალაშვილის განცხადებით, ასოციაციას საწყის ეტაპზე გადაწყვეტილი აქვს ფრინველის – ქათმის მოშენება, რისთვისაც უკვე გამონახულია სათანადო ფერმა, შემდეგში კი გეგმავენ მეურნეობის გაფართოებას – ძროხისა და ღორების მოშენებას, რაზედაც მე-2-3 ჯგუფის ინვალიდები დასაქმდებიან. ამ მიზნების განსახორციელებლად ასოციაცია საჭიროებს როგორც მორალურ, ისე ფინანსურ მხარდაჭერას უპირველესად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან. ისინი ასევე აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში გრანტების მოსაპოვებლად. ამასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა და სხვა სტუმრებმა. საბოლოოდ აზრი შეჯერდა იმაზე, რომ ასოციაციის წინაშე მდგომი ეს ამოცანები უნდა გადაიჭრას ეტაპობრივად, რისი საშუალებაც სადღეისოდ აქვს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. ასევე უნდა მოიძიონ ამ საქმეში სხვადასხვა არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები, რაიონში მოქმედი საქველმოქმედო ორგანიზაციები და ბიზნესმენები. უნდა შეირჩეს და მუშაობაში დაინერგოს ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც შრომას გაუადვილებენ აქ დასაქმებულ პირებს. თავდაპირველ ეტაპზე შესაძლებელია და მომგებიანი ფრინველისა და ფუტკრის მოშენება, რაშიც მოწვეული სტუმრები აუცილებელ დახმარებას შეპირდნენ ინვალიდებს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელი ინვალიდებს ასევე დაპირდათ, რომ უახლოეს ხანებში გამონახავენ სათანადო ფართს ასოციაციის ოფისისათვის და დაეხმარებიან მისი საჭირო ინვენტარით აღჭურვის საქმეში. გატარდება ღონისძიებები მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადასაადგილებლად სპეცშესასვლელების მოსაწყობად, ადგილობრივი მედიის და სხვა საშუალებებით დაეხმარებიან ორგანიზაციაში ახალი წევრების მოზიდვასა და გაწევრიანებაში.

მოწვეული სტუმრები ინვალიდებს ასევე დაპირდნენ დახმარებას მათ წინაშე მდგომი სხვა პრობლემების გადაჭრაშიც.

*გივი დაბახიშვილი*

# 2008 წლის ომში დაღუპული გიორგი კირაკოზაშვილის მოსაგონარი

**5 წელი გავიდა აგვისტოს ომიდან. ომისგან მიყენებული მოუშუშებელი ჭრილობებით აგრძელებენ ცხოვრებას ომის მონაწილე ჯარისკაცები, სიზმრადქცეული მონატრების მწვავე ტკივილი ტანჯავთ სამაჩაბლოელ ლტოლვილებს. სტკივა საქართველოს ამ ომში ჩაფერფლილი ვაჟკაცები. ჩვენ ჩვენებურები გიორგი კირაკოზაშვილი და რევაზ მამისაშვილი გვტკივა. ისინი უფლის მხედრებად შეერწყნენ მარადიულ ზეცას.**



„შვილო, საქართველო გმირების სამშობლოა, შენ ხარ საქართველო!“

ჩემო უდროოდ გულისცემაშეწყვეტილო შვილო გია, შენი საყვარელი სიმღერით მინდა დავიწყო ეს მოსაგონარი:

„ავდგეთ ფეხზე და ვადღეგრძელოთ,
რაც რომ ქართველებს გვაქვს
სადღეგრძელოთ,
ფიქრი ერთია და მიზანიც ერთი
– ღმერთო გვიდღეგრძელე
დედა „საქართველო!“

ჩემო უძვირფასესო შვილო. 5 წელი გადის, რაც ჩვენს შორის წარსული ჩადგა. წახვედი და დატოვე ნათელი კვალი სიკეთისა და პატიოსნებისა, არავინ იცოდა და იცის შენებრ სიცილითა და სიმღერით საქმის კეთება, მწარე და საშინელი დღეა 2008 წლის 9 აგვისტო, ჩუმი დარდით, სევდითა და ცრემლით გრძელდება ცხოვრება, სამწუხაროდ – უშენოდ, ასე გაგრძელდება, სანამ ცხოვრების ფარდაც არ დაიხურება, სანამ უფალი შენს გზასაყარს შემაყენებს. უშენოდ, შვილო, ფუჭია ცხოვრება, შენ ხომ ჩვენი ოჯახის საყრდენი კედელი იყავი, შენი წასვლით დაცარიელდა ის შეუცვლელი ადგილი, რომელიც ჩვენს ოჯახში გეკავა. ღირსეული კაცის სახელით წახვედი ამ ქვეყნიდან. ყველას სიკეთე ახსოვს შენგან, რომელიც წინ დაგხვდება. შენი განვლილი ცხოვრების ფურცლები ერთად აღებული დიდი წიგნია, რომელიც არასოდეს გაუფერულდება. ბოლოს 7 აგვისტოს სამჯერ დამირეკე, დედა ვენახი შეაწამლინე, წამალი არ დაუგვიანდესო – ეტყობა ჩემი ხმის გაგონება გინდოდა...

ამბობენ, დრო მკურნალიაო. დრო ვერ განკურნავს შენი წასვლით მიყენებულ ტკივილს. რაც დრო გადის, უფრო ღრმავდება ბზარი, ძლიერდება მონატრების სურვილი. სიცოცხლეს დავთმობ, შვილო, თუნდაც ერთი წუთით დამანახა შენი მომღიმარი სახე. როგორი ცივი და უბადრუკია წუთისოფელი უშენოდ, ჩვენო გულმართალო, ქედუდრეკელო მებრძოლო. უშურველად შეგეძლო სულის გაღება მეგობრისთვის. შენ მარტო შენს ოჯახს არ დააკლდი, შენ ხარ საქართველოს ტკივილი. არსებობს ქართული მადლიანი სიტყვა „გარდაცვალება“, რომელიც იტევს ღვთის რწმენას, სულის უკვდავების ჭეშმარიტებას და მჯერა, რომ შენი სიკეთის მთესველი სული ზეციურ საქართველოს მოკაშკაშე ვარსკვლავად შეემატება. შენი სხეული დაიფერფლა ერისა და ბერის სიყვარულში, საკუთარი ქვეყნის ბედზე ფიქრსა და დარდში და როგორც შენ იტყოდი – „მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის“. ვმადლობთ უფალს, რომ შენ იყავი ჩვენთან და ჩვენთვის, როგორც სიმბოლო და ორიენტირი ღვთისაკენ მსწრაფველი სულისა!

ჩემო გია, ჩემო დიდო სევდავ და ნაღველო. ყოველდღე იმას ფიქრობდი, ვისთვის რა გერგო. მომადლებულ სიკეთეს უშურველად გასცემდი. ღრმად გწამდა, რომ დიდი თუ პატარა გამოსაღებით ჩადენილი სიკეთე, უფლისადმი აღვლენილი ლოცვაა. მადლობა უფალს, რომ შენისთანა შვილი მაჩუქა, მადლობა შენ, რომ სიზმრად მოდიხარ და მანუგეშებ – „მე ცოცხალი ვარ“, დიდსულოვანი ვაჟკაცი იყავი და ასეთად დარჩი მანდ, საუფლოში!

გია, შვილო, ვცოცხლობ შენი წარსულით, თითოეული შენი გახსენების ისტორია შენს წამიერად გაცოცხლებას უდრის. მადლობა ყველას, ვინც შენს სახელს იხსენებს!

მოვა დრო და შენთან მოვალ, მანამდე ვივლი შენი გზით, სიკეთისა და კეთილშობილების გზით. ისღა დამრჩენია, ავანთო წმინდა სანთლები, ვილოცო შენთვის და შენი თანამებრძოლებისათვის. კურთხეულ იყოს თქვენი მონატრება, საუკუნო იყოს თქვენი ხსენება, ალალი იყოს თქვენთვის დაღვრილი უამრავი ცრემლი, თქვენს სახელზე გაკეთებული საკურთხი და თქვენს სახელზე დანთებული უამრავი სანთელი.

ქრისტე ღმერთმა დაიფაროს ყველა გარდაცვლილის სული, მომავალი თაობა კი ყველა ბედნიერი გაზარდოს და სიხარული არ მოჰკლებოდეთ, გაბრწყინებულ საქართველოში ეცხოვროთ! ისეთ საქართველოში, როგორიც შენ გსურდა, შვილო!

ისევ შენი სიმღერის ძვირფასი სტროფებით მინდა დავასრულო

„დასავიწყებელი ღმერთმა ნუ მოგვცეს.
ჩვენ ქართველები მიტომ ვიბადებით
სიკეთე ვთესოთ ამ ქვეყანაზე
და მერე ვალმოხდილი მიწას ვებარებით!“

***IV ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის კაპიტნის, დაზვერვის უფროსი ოფიცრის დედა***

*დალი ( ნანი) კირაკოზაშვილი*

## განცხადება

გთავაზობთ შემოსაღობ მავთულბადეს, მდინარეების ნაპირსამაგრ “გაბიონებს”, საწიწილე გალიებს, ეკალმავთულს, აგრეთვე თქვენივე კუთვნილი ანახვევი ან ახალი მავთულით მავთულბადის დამზადებას ნებისმიერ ზომებში.

თელავი.
ტელ: 599 14 28 16

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

## რეკლამა

ფერადი ბეჭდვა მაისურზე, ჭიქაზე, ზურგჩანთაზე, ტორტზე და ა.შ.

ფერადი ქსეროქსი ფოტოგრაფიული ხარისხით;

ბეჭდვა მაისურზე, ჭიქაზე, ქვაზე, ზურგჩანთაზე, ტორტზე და ა.შ. სრული ინფორმაცია საიტზე: WWW.mad-studio.ge.

*ქ. საგარეჯო. ტელ:*
*571 717 889;*
*599 17 26 22.*